გელათი -

მსოფლიო კულტურული ძეგლის ირგვლივ გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და სამართლებრივი ანალიზი

სამართლებრივი დასკვნა და რეკომენდაციები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
მაისი, 2021 წ.
ქ. თბილისი

კვლევის პროცესში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი, *ორგანიზაციის ხელმძღვანელი*
ნიკა მენოგნიშვილი, *მთავარი იურისტი*
ანა ფუტკარაძე, *მრჩეველი იურისტი*
ზერდია ჯაჯანიძე, *იურისტი*
მარიამ ბარსონიძე, *იურისტ-კონსულტანტი*
კვლევის კომუნიკაციის მენეჯერი
ანა თვაური, *იურისტ-კონსულტანტი*
კობა ბურკაძე, *იურისტ-კონსულტანტი*
მარიამ ფოჩხუა, *იურისტ-კონსულტანტი*

მარიამ ხიზანიშვილი
ფინანსური მენეჯერი

C ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და ახალი ამბების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
http://www.youtube.com/youngbarristers
მისამართი: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ #171
ორგანიზაციის ტელეფონი: 2 90 78 77, 599 291202
ორგანიზაციასთან კომუნიკაცია – 599 291202
ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@gmail.com
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
დაარსების თარიღი: 09 ივლისი, 2012 წელი
მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი,
ანგარიშის ნომერი: GE31BG0000000161544925GEL

კვლევის შინაარსი:

1 შესავალი

2. საკითხის ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარე

3. კომუნიკაცია პროცესის მონაწილეებთან

4 დასკვნა

5. რეკომენდაციები

1. შესავალი[1]

ორგანიზაცია ფართო საზოგადოებისთვის აქვეყნებს მორიგ კვლევას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში მსოფლიო კულტურული მნიშვნელობის ძეგლის - გელათის ტაძრის რეაბილიტაციის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან, რა დროსაც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ტაძრის ინტერიერში ჩავიდა წყალი, რამაც, პირველადი შეფასებით, გამოიწვია უნიკალური ფრესკების დაზიანება.

გელათის მონასტერი, ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული საგანძური, ბაგრატის საკათედრო ტაძართან ერთად, მსოფლიო მემკვიოდრეობის ნუსხაში ჯერ კიდევ 1994 წელს შევიდა.

2006 წლის 30 მარტის N3/133 საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის ბრძანებით, გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალ ნაგებობებს მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის ბრძანებულებით კი მას მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

2008 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტთან და მის მრჩეველ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე დაიწყო რა ბაგრატის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შედეგადაც, 2010 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა ბაგრატის საკათედრო ტაძარისა და გელათის მონასტერის მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა ნუსხაში გადატანის გადაწყვეტილება მიიღო (34 COM 7B.88).

საბოლოოდ, 2017 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილება (41 COM 8B.31) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის საზღვრების მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, რის შედეგადაც, გელათის მონასტერი iv კრიტერიუმის საფუძველზე მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დამოუკიდებლად იქნა დაბრუნებული. კომიტეტის ამავე სხდომაზე, საქართველოს სახელმწიფოს განესაზღვრა რეკომენდაციები (41 COM 7A.20), მათ შორის მონასტრის შესაბამისი საკონსერვაციო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საჭირო გრძელვადიანი პროგრამის მიღების თაობაზე.

ჯერ კიდევ 2008 წელს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით მომზადებული მულტიდისციპლინარული კვლევების საფუძველზე შემუშავდა გელათის მონასტრის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის განხორციელებაც, სახელმწიფოს რესურსისა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის დახმარებით, აქტიურად 2010 წლიდან დაიწყო. გელათის რესტავრაცია - კონსერვაციის პროექტის მომზადებაზე მუშაობა დაიწყო ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობამ“ (ს/კ 204545652), ხოლო სამშენებლო საქმიანობას ახორციელებდა შპს „იკორთა 2007“ (ს/კ 205216327).

ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობამ“ 2008-2010 წლებში გელათის მონასტრის ტერიტორიაზე რამდენიმე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაო განახორციელა (აკადემიის შენობა, წმიდა ნიკოლოზისა და წმ. გიორგის ტაძრები, სამრეკლო). ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობამ“ პროექტის შემდგომი ფინანსური დახმარების მოძიების მიზნით, დახმარება სთხოვა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ (ს/კ 204426451). 2013 წელს „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“, აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდიდან 600 ათასი აშშ დოლარის გრანტი მიიღო პროექტისთვის – „გელათის ღვთისმშობლის ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურის რეაბილიტაცია“. დაფინანსება მოიცავდა გელათის მონასტრის არქიტექტურული სტრუქტურის რეაბილიტაციას, მათ შორის, მოჭიქული კერამიკის სახურავის ფილების მონტაჟს, ქვის ფილების გაწმენდას, კარნიზების

[1] *კვლევის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge*

კონსერვაციას, ქვის ზედაპირზე მცენარეული და ბიოლოგიური დაზიანებების აღმოფხვრას, ტაძრის შიდა სივრცეში არსებული ფრესკების მონიტორინგსა და გადაუდებელ კონსერვაციას.

სამუშაოები ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობის“ მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით უნდა წარმართულიყო, რაც 2014 წელს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამეცნიერო საბჭოზე განიხილეს და დაამტკიცეს. სამშენებლო საქმიანობას ახორციელებდა შპს „იკორთა 2007“ (ს/კ 205216327).

2014 წელს გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათისა და გუმბათის ყელის კედლის მხატვრობის კონსერვაციისთვის ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“ დამატებით 50 ათასი აშშ დოლარი მიიღო. 2016 წელს გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების და ნართექსის ქვის კონვერსაციისთვის, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“, კიდევ 150 ათასი აშშ დოლარი მიიღო. ეს იყო 2013 წელს მიღებული საგრანტო დაფინანსების ერთგვარი გაგრძელება და ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების ქვის კონსერვაციისთვის იყო განკუთვნილი.

2015 წელს, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით, დააფინანსა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ქვის საკონსერვაციო სამუშაოები საბოლოო საკონტრაქტო ღირებულებით 1, 117,770 ლარით. 2017 წლის 14 დეკემბერს, ასევე, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მუნიციპალური განვითარების ფონდმა 1 349 075 ლარზე ტენდერი გამოაცხადა. გამარჯვებული 2018 წელს გამოვლინდა. ტენდერი ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“ მოიგო.

2018 წელს, მას შემდეგ, რაც გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ქვედა იარუსების (ეკვდერების) გადახურვის სამუშაოების გასაგრძელებლად თანხის უზრუნველყოფა მოხდა, შეიცვალა ტაძრის გადასახური მასალა – წითელი თიხით შესრულებული მოჭიქული კრამიტი თეთრი თიხის მოჭიქული კრამიტით. მუნიციპალური განვითარების ფონდს პროექტის დასასრულებლად მხოლოდ 8 თვე ჰქონდა გამოყოფილი, დროის სიმცირის გამო კი, სახელოსნო, რომელიც მოჭიქულ წითელ თიხის კრამიტს აწარმოებდა, უარს აცხადებდა მასალის მიწოდებაზე. წითელი თიხის მოჭიქული კრამიტი, რომლითაც გელათის მთავარი ტაძრის გუმბათი და ზედა იარუსებია გადახურული, საქართველოში, ადგილობრივ საამქროში დამზადდა. კრამიტის იმ ოდენობის დამზადება, რომელიც ტაძრის ეკვდერების და მკლავების გადასახურად იყო საჭირო, საწარმოს წარმომადგენლებმა 8 თვეში შეუძლებლად მიიჩნიეს და საბოლოოდ უარი თქვეს. შედეგად, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“ მოიძია ახალი კომპანია და მოხდა მასალის შეცვლა. კერძოდ, შპს „პრიმუმ“-მა (ს/კ 404547077) წითელი თიხის კრამიტის ნაცვლად თურქეთიდან იმპორტირებული თეთრი თიხის მასალით მოჭიქული კრამიტის დამზადება შეეძლო. კრამიტის ნიმუშები გაგზავნეს სსიპ გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის ლაბორატორიაში, სადაც მანამდე ექსპერტიზა ჩატარებული ჰქონდა ადგილობრივი წითელი თიხით დამზადებულ მოჭიქულ კრამიტს, რომელიც გუმბათის და მკლავების გადასახურად გამოიყენეს, ხოლო ექსპერტიზის შედეგები გადაიგზავნა, როგორც სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, ისე საზედამხედველო კომპანია „ეფტისასა“ და პროექტის ავტორებსა და შემსრულებლებს ახალი წარმოების კრამიტის გამოყენებაზე ნებართვის მიღების მიზნით.

მთელს ამ პროცესს ზედამხედველობას უწევდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის [მგფ] მიერ დაქირავებული კომპანია „ეფტისა“. სწორედ მგფ-ს და „ეფტისას“ მიერ მოწონებული იქნა ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც თეთრი თიხის კრამიტის დაგება დასაშვებად იყო მიჩნეული. მათგან მიღებული თანხმობის შემდეგ კი გელათის ტაძარზე სამუშაოები განახლდა.

2019-2020 წლის ზამთრის კლიმატური მდგომარეობის გათვალისწინებით, ყინვის შედეგად, ეკვდერებზე გამოყენებული კრამიტი ნაწილობრივ გატყდა. „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“ ადგილზე განახორციელა დაზიანებული კრამიტების ფოტოფიქსაცია (დრონით) და მასალები გადასცა სააგენტოს. ამავე დროს, დასავლეთ მკლავში, იმ ადგილებიდან, სადაც წითელი თიხის კრამიტი იყო გადახურული, ინტერიერში ჩავიდა წყალი, რამაც ტაძრის ფრესკები დააზიანა, აღნიშნული ფაქტის

მიმართ შესაბამისი ყურადღება კი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან მხოლოდ 2020 წლის 11 მარტის ანგარიში გაჩნდა, რის შემდეგაც ერთ-ერთ მოთხოვნად ჩამოყალიბდა ტაძრის დროებითი გადახურვის განხორციელება.

სააგენტომ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს და მის მრჩეველ ორგანოებს (ICOMOS, ICRROM) მიაწოდა სრული ინფორმაცია ძეგლზე მარტიდან გამოვლენილ ხარვეზებთან, ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობასთან, განხორციელებულ და დაგეგმილ გამოსასწორებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით და მიმართა რეკომენდაციებისა და შეფასებების თხოვნით. პასუხად, სახელმწიფომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ცენტრისგან მიიღო იკომოსის ტექნიკური მიმოხილვა საკითხთან დაკავშირებით, რომელშიც წარმოდგენილია სახელმწიფოს მიერ გასათვალისწინებელი შენიშვნები, რეკომენდაციები და შეთავაზებები, როგორც გადახურვასთან, ასევე კედლის მხატვრობასთან მიმართებით, მათ შორის საკონსერვაციო მდგომარეობის სტაბილიზაციისა და გამოსასწორებელი ღონისძიებების მიზნით საჭირო კვლევებისა და ქმედებების განხორციელებისა და კონსერვაციის მართვის ყოვლისმომცველი პროგრამისა და გეგმის შედგენის საჭიროების თაობაზე.

2021 წლის 15 იანვარს, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა ქ. ქუთაისში გამართა გასვლითი სესია, რომელიც რომელიც გელათის კომპლექსზე შექმნილი ვითარების განხილვას მიეძღვნა. 2021 წლის 18 იანვარს, კომიტეტმა გამოსცა რეკომენდაციები, რომელიც მიზნად ისახავდა ზემოხსენებული ხარვეზების ეფექტიანი აღმოფხვრის ხელშეწყობას. რეკომენდაციის ადრესატად განისაზღვრა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“. სააგენტოს დაევალა, რომ 2021 წლის 31 დეკემბრამდე UNESCO-სთან თანამშრომლობით უზრუნველყოს გელათის სამონასტრო კომპლექსის შეფასებითი სრულფასოვანი კვლევა ყველა მიმართულებით, ხოლო 2021 წლის 1 აპრილამდე, კომიტეტის წინაშე წარედგინა მოცემული კვლევების დროში გაწერილი გეგმა-გრაფიკი. სააგენტოს დაევალა, რომ კვლევის შედეგებს უნდა განესაზღვრა რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი და მისი გონივრულ ვადებში ეტაპობრივი განხორციელება[2].

2021 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება, რომლითაც სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიეცა თანხმობა გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალი წმიდა გიორგისა და ღვთისმშობლის სახელობის ტაძრების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მოეხდინა. 2021 წლის 30 მარტს, სააგენტოს წერილით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეთხოვა თანხმობა გელათის საკონსერვაციო მდგომარეობის სტაბილიზაციისა და გამოსასწორებელი ღონისძიებების მიზნით საჭირო კვლევების, სარეაბილიტაციო სამუშაოების, ინფრასტრუქტურული და ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული აუცილებელი ქმედებების განსახორციელებელი სამუშაოების (CPV კოდი 45453100 CPV კოდი 7330000) გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებაზე[3]. გელათის სამონასტრო კომპლექსზე დროებითი გადახურვის ხელახლა მოწყობა სახელმწიფოს 238 093 ლარი დაუჯდა.

საქართველოს კულტურის მინისტრმა დააკმაყოფილა, ხოლო პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის თანამდებობა დატოვა ნიკოლოზ ანთიძემ, რომელსაც 2014 წლიდან გააჩნდა კანონისმიერი ვალდებულება დაეცვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები *(„საზოგადოებრივი-საინფორმაციო საშუალებებით კეთდება განცხადებები, თითქოს თანამდებობა გელათის ტაძრის არასათანადო რეაბილიტაციის გამო დავტოვე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. არა*

---

[2] *საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2021 წლის 18 იანვრის #322/4-4/21 რეკომენდაციები;*

[3] *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილის 2021 წლის 30 მარტის წერილი #07/972*

მხოლოდ იურიდიული, არამედ მორალური კუთხით ამ საკითხში არც მე და არც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ბრალი არ მიუძღვის“, – ნიკოლოზ ანთიძის მიერ გაკეთებული განცხადება პირად სოციალურ გვერდზე, 21 აპრილი, 2021).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის თანამდებობის დატოვებას, აგრეთვე, წინ უძღვოდა საქართველოს კულტურის მინისტრის საჯარო განცხადება, რომლითაც გელათთან დაკავშირებულ მოვლენებთან ცალსახად გამოკვეთა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობა. საქართველოს კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა 2021 წლის 22 მარტს სატელევიზიო ინტერვიუს დროს თქვა: *„მე, როგორც დეპუტატი, ახლა უკვე მინისტრი, იმიტომ, რომ ჩავიხედე საქმეში, ჩავიხედე დოკუმენტებში, ჩავიხედე პროექტში, მოვუსმინე ადამიანებს და ბევრ მათგანს, ნამდვილად ვთვლი, რომ ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს აქვს სერიოზული ხარვეზები დაშვებული გელათის რესტავრაციის პროცესში. ეს პროცესი დაიწყო 2008 წელს და დღემდე გრძელდებოდა. ჩვენ მოგვიწევს ამ ხარვეზების გამოსწორება, რაც, სამწუხაროდ, დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. სავარაუდოდ და ეს თანხები, მოგვიწევს, რომ ამ მწირი ბიუჯეტის პირობებში, სისტემამ გამონახოს, რაც, რბილად რომ ვთქვა, ტრაგიკულია“ (თეა წულუკიანის განცხადება ტ/კ „იმედის“ ეთერში, 22 მარტი, 2021 წ).*

ორგანიზაცია ყურადღებით გაეცნო საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 11 თებერვლის პირველად შეფასებას გელათის ტაძრის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ომბუდსმენის პირველადი შეფასებით[4], გამოიკვეთა შემდეგი პრობლემური საკითხები:

- მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის დასაწყისში ძეგლზე უკვე არსებობდა დაზიანებები, თითქმის 10 თვით დაგვიანდა დროებითი გადახურვის გაკეთება;

- დროებითი ღონისძიებების განხორციელებიდან სულ რაღაც რამდენიმე კვირაში ცნობილი გახდა დროებითი გადახურვის დაზიანების თაობაზე. აღნიშნული მიუთითებს, თუ რამდენად არაეფექტურად მიმდინარეობდა პასუხისმგებელი უწყების მხრიდან ძეგლზე განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმარება და ზედამხედველობა;

- საკითხის შესწავლის დროს გამოვლინდა, ასევე სისტემური ხასიათის პრობლემა. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებზე ჩატარებული სამუშაოების ეტაპობრივი ჩაბარების დროს შესრულებული სამუშაოების ხარისხის საექსპერტო დასკვნის გზით შეფასების ვალდებულებას. აღნიშნული დიდ საფრთხეს უქმნის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაციის სწორად წარმართვის პროცესს.

საზოგადოებაში გრძელდება გელათის ტაძრის რეაბილიტაციასთან და განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დისკუსია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ პროცესის მონაწილე ორგანიზაციების მიმართ დაიწყო სასამართლო გზით სამართალწარმოება, თუმცა საკითხის მეტი სიცხადისთვის, საჭიროა ფაქტებსა და მოვლენებს სწორი შეფასება მიეცეს და საჯარო ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდეს საზოგადოების ზედმიწევნით ინფორმირება. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის მიზანია, საზოგადოების წინაშე გაშუქდეს საკითხის ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარე. გელათის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ არ მოხდეს იმგვარი გამოუსწორებელი მოპყრობა და შეცდომების დაშვება, როგორც ბოლო წლების განმავლობაში, სხვა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების მიმართ იქნა დაშვებული.

[4] *საქართველოს სახალხო დამცველის პირველადი შეფასება გელათის ტაძრის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. 11 თებერვალი, 2021 წ. www.ombudsman.ge*

„ახალგაზრდა ადვოკატები“, განხორციელებული შესწავლის ფარგლებში, ყურადღებას დაუთმობს გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ შემდეგი საკითხების ანალიზსს:

1. რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებების მხრიდან გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების უზრუნველსაყოფად. როგორია სახელმწიფოს გადაწყვეტილებების პოლიტიკა და მართლზომიერება;

2. რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფაში მონაწილე კერძო შემსრულებელი ორგანიზაციების მხრიდან. როგორია ორგანიზაციების მოქმედების სამართლებრივი ფარგლები და სტატუსი, მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი და მართლზომიერება;

3. რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე გამოვლენილი ხარვეზების შემდგომ სასამართლოში, რამდენად შესაბამისობაშია სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები დოკუმენტებით წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან და კანონის უზენაესობის პრინციპთან.

ორგანიზაცია კვლევაზე მუშაობის პროცესში, გაეცნო პერიოდულ პრესაში საკითხზე გამოქვეყნებულ სტატიებს, მასალებს, ინტერვიუებსა და სპეციალისტების, საექსპერტო საზოგადოების მოსაზრებებს. ორგანიზაციამ საკითხზე ანალიზი მოამზადა სხვადასხვა საჯარო უწყებიდან გამოთხოვილი და პროცესის მონაწილე ორგანიზაციების მხრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. მეტი ინფორმირების მიზნით, გაწევრიანდა გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო სოციალურ გვერდ Facebook-ის საშუალებით შექმნილ საზოგადოებრივ ჯგუფში: „გადავარჩინოთ გელათის მონასტერი / Save The Gelati Monastery“. გაეცნო სასამართლო წარმოების მასალებს და შეაფასა პროცესის მონაწილე სუბიექტების არგუმენტები და მოსაზრებები. შესაბამისად, კვლევა ინფორმაციულად მდიდარია და გააჩნია საქმიანი დოკუმენტის პრეტენზია, თუმცა შესაძლებელია, წარმოდგენილ მსჯელობასთან დაკავშირებით, ცალკეულ სამოქალაქო ჯგუფებს, გააჩნდეთ ალტერნატიული შეხედულებები და არგუმენტაცია, რომელსაც ორგანიზაცია ყურადღებით გაეცნობა. ვფიქრობთ, რომ მხოლოდ საკითხზე საგნობრივ მსჯელობას შეუძლია არსებითი წარმოდგენები შექმნას პრობლემურ მხარეებზე. შესაბამისად, კვლევის მიზანია, წინასწარი განწყობების ნაცვლად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, საკითხთან მიმართებით, ხელი შეუწყოს ობიექტური შეხედულებების გაჩენას და განვითარებას.

2 საკითხის ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარე

ორგანიზაცია, კვლევის მომზადების პროცესში, ყურადღებას დაუთმობს გელათის ტაძრის რეაბილიტაციისა და დროებითი გადახურვის სამშენებლო სამუშაოების პროცესში იმ ფაქტებს, რომელიც დღესდღეობით მაღალი საჯარო ინტერესით სარგებლობს, მოვლენების თანიმდევრულობას, რომელითაც სრული წარმოდგენა იქმნება პროცესში მონაწილე სუბიექტების - სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისა და შემსრულებელი ორგანიზაციების ურთიერთქმედებასა და მოვალეობებზე, რათა ცხადი წარმოდგენა არსებობდეს ერთადერთ შეკითხვაზე: „რა მოხდა?“ და გაკეთდეს პირუთვნელი დასკვნები. ამასთან, კვლევა მოიცავს იმ ფაქტობრივი მასალისა და ინფორმაციის გაშუქებას, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ შემსრულებელი ორგანიზაციების მიმართ სასამართლო წესით წარმოებული საქმის არგუმენტებს და ამ პროცესში, როგორც სასამართლოს, ასევე სახელმწიფოსა და შემსრულებელი ორგანიზაციების ახსნა-განმარტებებს. შესწავლილი მასალის თანახმად, შესაძლებელია პროცესი დავინახოთ შემდეგ დინამიკაში:

2.1 პროცესი საქმის სასამართლო წესით წარმოებამდე

2020 წლის 12 მაისს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს განცხადებით მიმართა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორმა და ითხოვა ნებართვა გელათის სამონასტრო კომპლექსში დროებითი გადახურვის სამუშაოების დასაწყებად, როგორც ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“, ასევე შემსრულებლის შპს „იკორთა 2007“-ის სახელზე. მანვე წარადგინა გელათის მთავარი ტაძრის დროებითი გადახურვის პროექტი, რომელიც შეასრულა ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობამ“, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დაკვეთით. ნებართვის მიღების მოთხოვნას წინ უძღოდა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დავალება ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ მიმართ ასეთი მოთხოვნის წარმოდგენისთვის. ასევე, საავტორო *(ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობა“)* და საინჟინრო *(შპს „იკორთა 2007“)* სამუშაო ჯგუფის არაერთი შეხვედრა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში უწყების სპეციალისტებთან.

2020 წლის 27 მაისს ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორს წერილობით მიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა და აცნობა, რომ სააგენტოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სექციის სხდომაზე განიხილეს 2020 წლის 12 მაისის წერილი და თანდართული დოკუმენტები, გამოითქვა შენიშვნებიც. მონიტორინგის მიზნით სამუშაო ჯგუფი იმყოფებოდა ადგილზეც. სანებართვოდ წარდგენილი დოკუმენტაციის არასრულყოფილების და მისი ხელახლა კორექტირებისათვის საჭირო იყო გარკვეული პერიოდი, მაგრამ წვიმის გამო ზიანდებოდა კედლის მხატვრობა. ამდენად, განმეორებითი პროექტის და შესაბამისი ნებართვის გაცემამდე, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ უნდა მოეწყო გადახურვა „ტენტით“, რაც შეასრულა კიდეც და აღნიშნულის თაობაზე 2020 წლის 06 ივლისს აცნობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს.

2020 წლის 29 ივლისს ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიმართ წარადგინა კორექტირებული პროექტი, რომელიც განიხილა შესაბამისმა საბჭომ და გასცა დადებითი დასკვნა. სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა იმავე დღეს გამოსცა ბრძანება, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე - გელათის ღვთისმშობლის ტაძარზე, დროებითი გადახურვის მოწყობის შესახებ სამუშაოების ნებართვის გაცემის შესახებ. ბრძანების საფუძვლად მითითებულია ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის და 29 ივლისის წერილები. აღნიშნულს წინ უძღვოდა სააგენტოში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სპეციალისტებთან, აგრეთვე, სააგენტოს არქიტექტორებთან და სხვა ექსპერტებთან, ასევე საინჟინრო სამუშაოების შემსრულებლებთან და პროექტის ავტორებთან.

2020 წლის 29 ივლისს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა გამოსცა სანებართვო მოწმობა N6/12/183. მოწმობაში ნებართვის მფლობელად მითითებულია ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ და შპს „იკორთა 2007“. შესასრულებელი სამუშაო - დროებითი გადახურვის მოწყობა. სამუშაოთა შუალედური ანგარიშის წარდგენის ვადა - 2020 წლის 31 აგვისტო. ნებართვის მოქმედება - სანებართვო მოწმობის გაცემიდან 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, საბოლოო ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.

2020 წლის 31 აგვისტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორმა წარუდგინა დროებითი გადახურვის მოწმობის სამუშაოების შუალედური ანგარიში.

2020 წლის 24 სექტემბერს სააგენტოს დირექტორმა აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორს აცნობა, რომ ჩატარდა მონიტორინგი სამუშაოების შუალედური ანგარიშის პროექტთან შესაბამისობის საკითხის გამოსაკვლევად. რა დროსაც დადგინდა, რომ დროებითი გადახურვის მოწყობა ხორციელდება გეგმის მიხედვით, სააგენტოსთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, სანებართვო პირობების დაცვით.

2020 წლის 28 სექტემბერს, შპს „იკორთა 2007“-ის მოთხოვნის საფუძველზე, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორმა წერილობით მიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს და აცნობა, რომ ორგანიზაცია „იკორთა 2007“-მა დროებითი გადახურვის სამუშაოები ვერ შეასრულა დადგენილ ვადაში, რაც გამოიწვია მითითებულ პერიოდში სხვადასხვა სადღესასწაულო დღეების დამთხვევამ (ფერისცვალება, ღვთისმშობლის მიძინება, ღვთისმშობლის შობა, ჯვართამაღლება) და მეტეოროლოგიურმა პირობებმა. შესაბამისად, ითხოვა სამუშაოების ვადის გაგრძელება 2020 წლის 21 ოქტომბრამდე.

2020 წლის 01 ოქტომბერს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, ვინაიდან არ ესწრებოდა წინა ნებართვით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების შესრულება, გამოსცა ახალი სანებართვო მოწმობა N6/12/222, რომლითაც ნებართვის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2020 წლის 16 ოქტომბრამდე.

2020 წლის 13 ოქტომბერს ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორმა კვლავ მიმართა წერილობით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს და არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, კვლავ მოითხოვა სამუშაოების ვადის გაგრძელება 2020 წლის 25 ოქტომბრამდე, ასევე წარუდგინა კორექტირებული პროექტი.

2020 წლის 16 ოქტომბერს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა გამოსცა სანებართვო მოწმობა N6/12/233, რომლითაც ნებართვის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2020 წლის 25 ოქტომბრამდე.

2020 წლის 26 ოქტომბერს ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორმა ა(ა)იპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს წარუდგინა 2020 წლის 29 ივლისი - 2020 წლის 26 ოქტომბრის პერიოდში შესრულებული სამუშაოს საბოლოო ანგარიში. სააგენტომ აღნიშნული ანგარიში განიხილა და მიიჩნია, რომ იკვეთებოდა ცალკეული ხარვეზები.

2020 წლის 09 ნოემბერს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა“ და შპს „იკორთა 2007“-ს გაუგზავნა გაფრთხილება, სადაც მიეთითა, რომ დროებითი გადახურვის პროცესში სამუშაოები შესრულებული იყო სანებართვო პირობების დარღვევით. წერილს ერთვოდა სააგენტოს სპეციალისტის რ. შავიშვილის

მიერ განხორციელებული საველე მონიტორინგის ანგარიში. ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა“ და „იკორთა 2007“-ს 2020 წლის 23 ნოემბრამდე განესაზღვრათ ვადა, სამუშაოების სანებართვო მოწმობასთან და საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. გაფრთხილების წერილში ჩამოითვალა შემდეგი აღმოსაფხვრელი საკითხები:

- წვიმსადინარის ძაბრები, პროექტის მიხედვით, უნდა მოწყობილიყო დროებითი გადახურვის კუთხეებში, მაგრამ ადგილზე გადახურვების ცენტრალურ ნაწილებშია დამონტაჟებული. გარდა ამისა, თავად წვიმსადინარები არ არის დამონტაჟებული გამართულად, რაც გამოიწვევს გადაბმის ადგილებში გაჟონვას. ასევე, რიგ ადგილებში დასამატებელია ხუფები, რომ წვიმსადინარიდან წვიმის წყლით კედლები არ დასველდეს.

- სანებართვო მოწმობის ფარგლებში კორექტირებული პროექტის მიხედვით წარმოდგენილი კვანძები და ხარაჩოების დგარების ფაქტობრივი განლაგება არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ სქემას, კერძოდ, ხარაჩოს დგარები არ არის გამონტაჟებული პროექტის შესაბამისად, ადგილზე არ არის გამოყენებული ფენილები, რომელიც კაუჩუკის „ბალიშების“ ქვეშ უნდა მოწყობილიყო.

- მონიტორინგის ფარგლებში, სააგენტოს ინსპექციის სამსახურის თანამშრომელმა რ. შავიშვილმა გელათში ყოფნის პერიოდში, სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე, აზომა მოწყობილი ხარაჩოების დგარების განლაგების ფაქტობრივი მდგომარეობა და გადაუგზავნა ბატონ გ. ხურცილავას. აღნიშნული ანაზომის მიხედვით, საპროექტო ორგანიზაციას უნდა დაეკორექტირებინა ზემოაღნიშნული პროექტი, რაც არ გაუკეთებია, რის გამოც მიმდინარე სამუშაოები გაცემული სანებართვო მოწმობის დარღვევად მიიჩნევა. ასევე, არ არის დამონტაჟებული მონიტორინგისათვის პრინციპულად აუცილებელი და მნიშვნელოვანი კიბეები, ბილიკები და მოაჯირები, კიბეების ბილიკების და მოაჯირების გარეშე კი ხარაჩოზე გადაადგილება არათუ უსაფრთხოა, არამედ ფაქტობრივად შეუძლებელიც.

- სამხრეთ და ჩრდილოეთ შვერილ აფსიდებზე გათვალისწინებულია კრამიტის საფარიდან აწეული დროებითი გადახურვის მოწყობა. ადგილზე დროებითი გადახურვა ზეგ კრამიტზეა მოწყობილი.

- სამხრეთ-დასავლეთი მინაშენის დროებითი გადახურვა, ხის კონსტრუქციის და თუნუქის საფარის ქვეშ დატოვებულია ლურჯი ფერის „ტენტი“, რაც არაა პროექტის მიხედვით გათვალისწინებული და უარყოფით შედეგსაც იქონიებს განიავების თვალსაზრისით და აუცილებლად მოსახსნელია.

2020 წლის 13 ნოემბერს ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინა შესრულებული სამუშაოს ანგარიში 2020 წლის 13 ოქტომბერი-2020 წლის 13 ნოემბერის პერიოდში.

2020 წლის 23 ნოემბერს ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს, 2020 წლის 9 ნოემბრის გაფრთხილების წერილის პასუხად წარუდგინა განახლებული პროექტი, ფოტო-დოკუმენტაცია და შპს „იკორთა 2007“-ის განმარტებითი ბარათი ცენტრის დირექტორის მიმართ, სადაც მითითებული იქნა შედეგი შემდეგი: *„2020 წლის 9 ნოემბრის გაფრთხილების წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ გუმბათის ყელის ირგვლივ დროებითი გადახურვიდან წყალსადინარი ძაბრები განთავსდა გადახურვის ცენტრალურ ნაწილში სახურავის ქანობებიდან გამომდინარე, რაოდენობა დარჩა იგივე. არსებული სიტუაცია აისახა კორექტირებულ ნახაზებში. რაც შეეხება წყლის ღარების გადაბმის ადგილებს და დაბოლოების ხუფებს, სავაჭრო ქსელში მონტაჟის პერიოდში არ იყო საჭირო დეტალები, ამჟამად შემოტანილი და დამონტაჟებულია. რაც შეეხება ხარაჩოების მოწყობის საკითხს, ხარაჩოების ნახაზები*

ყოველთვის არის სქემატური და მუშაობის პროცესში ხდება მათი მოწყობა ადგილზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე. დროებითი გადახურვის მოწყობა დასრულდა და შესაბამისად, მოხდა ადრე დამონტაჟებული ხარაჩოების მოხსნა და გადაკეთება. სამხრეთ-დასავლეთ მინაშენის დროებითი გადახურვის ქვეშ არსებული „ტენტი“ სამუშაოების დასრულების შემდეგ მოიხსნება. რაც შეეხება სახურავზე მონიტორინგისათვის კიბეებს და ბილიკებს, დროებითი გადახურვის მოწყობის აუცილებლობიდან გამომდინარე, ასასვლელი დარჩა მხოლოდ აღმოსავლეთ ფასადიდან, ამიტომ მონიტორინგის ჩატარების შემთხვევაში, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, კიბეები და ბილიკები მოეწყობა მოთხოვნის შესაბამისად“.

2021 წლის 16 იანვარს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა ფაქტების კონსტატაცია გელათის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე, რომლის მიხედვითაც: *2021 წლის 16 იანვარს 17 საათზე აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები გამოცხადდნენ ტაძრის ტერიტორიაზე, რა დროსაც დაფიქსირდა, რომ ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის სამხრეთით, სამონასტრო კომპლექსში შესასვლელიდან მარცხენა მხარეს არსებულ ერთ-ერთ კედელზე სხვადასხვა ადგილებში შეინიშნება სისველე. ტაძრის სამხრეთ მხარეს, სახურავის კიდეზე არ შეინიშნება წყლის შემკრები ღარის არსებობა. ტაძრის სამხრეთ ნაწილზე (შესასვლელიდან მარცხენა მხარეს) დამაგრებული წყლის ღარის დაბოლოების მხარე არის დახურული და მიმართულია კედლისაკენ. დაბოლოების მხარეს ქვედა მხრიდან შეინიშნება წყლის წვეთები. წყლის ღარის გვერდზე მიმაგრებულ ფიცარზე შეინიშნება სისველე, შეინიშნება წყლის ღარის ქვემოთ არსებული ჩუქურთმის დაზიანება. ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში (შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს) დამაგრებულია წყლის ღარი, იგი მიბჯენილია კედელზე და დაბოლოება დახურულია, დაბოლოების მხარეს კედელზე შეინიშნება დაზიანება და მომწვანო ფერი, დაბოლოების მხარეს ქვედა მხრიდან შეინიშნება წყლის წვეთები და მის გვერდზე მიმაგრებულ ფიცარზე შეინიშნება სისველე. საწვიმარი მილი კედლის ქვედა მხრიდან გადმოშორებული არ არის. ფაქტის კონსტატაციის დროს დაიწყო მსუბუქი წვიმა, რა დროსაც დაფიქსირდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის კედლებზე წვიმის წყლის ჩამოდინების ფაქტი. ასევე, დაფიქსირდა წყლის ღარის დაბოლოება კედელთან ზედა მხრიდან და მასთან არსებული სველი კედელი. ასევე, დაფიქსირდა წყლის ღარის კედლისაკენ მიმართული დაბოლოება ქვედა მხრიდან და მასზე არსებული წვეთები. დაფიქსირდა ტაძრის სამხრეთი მხარის კედელზე მიმაგრებული წყლის ღარი, რომელზედაც ქვედა მხრიდან შეინიშნება წყლის წვეთები. დაფიქსირდა ეკლესიის ჩრდილოეთი მხარის კედელი და მასზე არსებული სისველე. დაფიქსირდა ეკლესიის ჩრდილოეთი მხარის კედელზე მიმაგრებული წყლის შემკრები ღარი, მისი დაბოლოება და მასთან არსებული სველი კედელი. დაფიქსირდა ტაძრის დასავლეთი და სამხრეთი კედლის შეერთების ადგილზე მიმაგრებული, ზემოდან დაშვებული წვიმის წყლის მილი, რომელზედაც შეინიშნება წყლის წვეთები, ასევე სისველე შეინიშნება კედლის ქვედა მხარეს. დაფიქსირდა ტაძრის სამხრეთ კედელზე ზედა მხარეს მიმაგრებული წყლის შემკრები ღარი, რომლის გადაბმის ადგილზე, ქვედა მხარეს შეინიშნება წყლის წვეთები.*

2021 წლის 18 იანვარს გელათის სამონასტრო კომპლექსში დროებითი გადახურვის სამუშაოების შესრულების მდგომარეობის შესამოწმებლად მივლინებული იყვნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები, მათ მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათში მითითებულია შემდეგი: ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი 2020 წლის 23 ნოემბრის წერილში გაფრთხილების პირველი პუნქტის პასუხად იტყობინებოდა, რომ „არსებული სიტუაცია აისახება კორექტირებულ ნახაზებში“, თუმცა 1. 2021 წლის 18 იანვრის მდგომარეობით არსებული სიტუაცია არ ასახულა ნახაზებში, პროექტის ავტორს დღემდე არ წარმოუდგენია ნახაზების კორექტირებული ვერსია, 2. ჰორიზონტალური წყალგამყვანი არხების დახრის კუთხე არ არის საკმარისი, ხოლო გადაბმის ადგილები ისევ გაუმართავია და ვერ ასრულებს დანიშნულებას, რის გამოც მთელ დროებით გადახურვის პერიმეტრზე (გადაბმის ადგილებში) აპარებს წყალს, ზოგ ადგილას გუბდება, წვეთავს, ხოლო წვეთები ასველებს ცოკოლს, 3. ისევ არ არის დამონტაჟებული დგარების კაუჩუკის ქვეშ პროექტით გათვალისწინებული ფენილები, 4. რაც შეეხება მონიტორინგისათვის აუცილებელ მოაჯირებს, ბილიკებს და კიბეებს, მიუხედავად არაერთი მითითებისა, დღეის მდგომარეობით არ არსებობს. შესაბამისად, წვიმიანი და თოვლიანი ამინდის დროს, თუნუქის

დროებითი გადაფარვის საფარზე, ფეხი ძალიან ცურავს, რაც უდიდესი საფრთხის შემცველია. ასევე, ინსპექტირებისას გამოვლინდა სხვა გადაცდომებიც, მაგალითად, თუნუქი ზოგ ადგილას არასწორად - პირიქითაა დაგებული ქანობის მიმართ. აგრეთვე, წყალგამტარ ვერტიკალურ მილებზე ბევრ ადგილას გამოყენებულია $r90^0$ მუხლები, რაც მეტ წინაღობას ქმნის და თავისთავად, არაა რეკომენდირეებული. წინაღობას ქმნის, აგრეთვე სილიკონის ჰერმეტიკებიც, რომლებიც გადაბმის ბევრ ადგილას ბორცვებადაა ამოწეული, წყალს არ ატარებს და იწვევს ნალექის დაგუბებას და გაჟონვას. შვერილი აფსიდების დროებით გადახურვაზე თუნუქი ბევრ ადგილას მოკლეა და ვერ სწვდება წყალამრიდ სადინარს და ბევრი სხვა. მთლიანად შესაცვლელია არასწორად განაწილებული და დამონტაჟებული წვიმსადინარები.

2021 წლის 20 იანვარს, ა(ა)იპ ,,ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის'' და შპს ,,იკორთა 2007''-ის მიმართ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის უფროსმა შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N000095, რომლშიც მიეთითა, რომ დასახელებული ორგანიზაციების მხრიდან სოფელ გელათში, პროექტის და სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელდა სამუშაოები, ასევე შეუსრულებელი იქნა 2020 წლის 9 ნოემბრის N191352 გაფრთხილების პირობები, რაც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, გათვალისწინებულს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილით. შესაბამისად, ა(ა)იპ ,,ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი'' და შპს ,,იკორთა 2007'' დაჯარიმდა 15 000 ლარით *(კვლევის ფარგლებში, აღნიშნულ ეპიზოდთან მიმართებით ანალიზი წარმოდგენილია დასკვნით ნაწილში).*

2021 წლის 16 აპრილს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში, ტყიბულის მუნიციპალიტეტში მოსამართლე ციცინო კიკვაძემ ღია სხდომაზე განიხილა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან შემოსული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მასალები და მიიღო გადაწყვეტილება: ა(ა)იპ ,,ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად, თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დარღვევისთვის და ორგანიზაციას დაეკისრა 15 000 ლარის ჯარიმის გადახდა. რაც შეეხება შპს „იკორთა 2007“-ს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანიის მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, სამართალდარღვევაში ბრალეულობის არარსებობის გამო *(კვლევის ფარგლებში, აღნიშნულ ეპიზოდთან მიმართებით ანალიზი წარმოდგენილია დასკვნით ნაწილში).*

2021 წლის 28 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 16 აპრილის დადგენილება ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ მხრიდან გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. ორგანიზაცია, დადგენილების გაუქმებასთან ერთად, მოითხოვს გაუქმდეს შპს „იკორთა 2007“-ის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებაც და ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი. კვლევის მომზადების პროცესში, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

2.2. მხარეები და სასამართლოს დასკვნები

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 16 აპრილის დადგენილების თანახმად:

- სასამართლო სხდომაზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ლევან ჭავჭავაძემ ოქმს მხარი დაუჭირა.

- ა(ა)იპ ,,ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის'' წარმომადგენელმა გიორგი კობიაშვილმა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ოქმი შედგენილია ორი დამოუკიდებელი იურიდიული პირის მიმართ, რომლებსაც ერთმანეთთან არანაირი სამართლებრივი კავშირი არ გააჩნიათ და არც რაიმე პასუხისმგებლობას იზიარებენ ერთობლივად. შპს ,,იკორთა 2007''-ის მიმართ კანონდარღვევით იქნა გაცემული ნებართვა, რადგან მას არ მიუმართავს განცხადებით ,სააგენტოსათთვის. შესაბამისად, ვერ გახდებოდა სანებართვო პირობების დამრღვევი. დროებითი გადახურვის სამუშაოები ხორციელდებოდა ა(ა)იპ ,,საქართველოს მემკვიდრეობის'' მიერ შედგენილი და არა ერთხელ კორექტირებული, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით. თითოეული ცვლილება შეთანხმებული იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

- შპს ,,იკორთა 2007-ის'' წარმომადგენლები ლაშა მჭედლიძე, გივი ხურცილავა და ალექსანდრე კალანდაძე არ დაეთანხმნენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. მათი განმარტებით, შპს „იკორთა 2007''-ს არანაირი ვალდებულებები არ უკისრია სამართალდარღვევის ოქმში მითითებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით. არ გამოცხადებულა არც ერთი ტენდერი და არც ერთი კონკურსი, რომლის ფარგლებშიც ისინი იკისრებდნენ ძეგლის მოვლა-პატრონობას. 2015-2016 წლებში გელათის საკათედრო ტაძარი გადაიხურა კრამიტით, იგი პერიოდულად საჭიროებდა გადალაგებას, გაწმენდას, გასწორებას, რაც ხუთი წლის განმავლობაში, ერთხელაც არ განხორციელებულა, შედეგად კი 2020 წლის ზაფხულში ტაძარში წყალი ჩავიდა. ვინაიდან არსებობდა ფრესკების დაზიანების საშიშროება, ტენდერის გამოცხადებას კი სჭირდებოდა დრო, სააგენტოს წარმომადგენლების თხოვნით და ძეგლის გადარჩენის მიზნით ა(ა)იპ ,,ხელოვნების საერთაშორისო ცენტრთან'' ერთად, სასწრაფოდ დაიწყეს მუშაობა დროებითი გადახურვის მოსაწყობად. არქიტექტურულ პროექტს კი უკვე შესრულებული სამუშაოს შემდეგ ათანხმებდა სააგენტო, რადგან არსებობდა ძეგლის დაზიანების საშიშროება. შესაბამისად, იგი არც ნებართვის მიმღები სუბიექტია და არც ქვეკონტრაქტორი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 16 აპრილის დადგენილების თანახმად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები, რაც ადასტურებდა სამართალდარღვევის არსებობას და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ ბრალეულობას მის ჩადენაში. სასამართლოს შეხედულებები დაეფუძნა შემდეგ არგუმენტებს:

- პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი ვერ გახდება ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ განმარტება, პროექტის გაუმართაობის და სააგენტოს მხრიდან საკითხის ნაჩქარევად გადაწყვეტის თაობაზე. საქმის მასალებით მართლაც დასტურდება, რომ პროექტი არაერთხელ შეიცვალა, რომ სამუშაოების შესრულებაში პასუხისგებაში მიცემულ პირებს არანაირი ანაზღაურება არ მიუღიათ, რომ საბოლოო ანგარიში წარდგენილი იქნა 2020 წლის 23 ნოემბერს, თუმცა სააგენტომ თითქმის ორი თვის შემდეგ, 2021 წლის 18 იანვარს მიავლინა თანამშრომლები გელათის სამონასტრო კომპლექსში შესრულებული სამუშაოს შესამოწმებლად, მაგრამ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი კულტურის ძეგლზე სამუშაოების შესრულება ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“ საკუთარი ნებით ისურვა, მისი განცხადების საფუძველზე გაიცა სანებართვო მოწმობა და მისივე შეკვეთით მომზადდა პროექტი. შესაბამისად, მასვე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სანებრთვო მოწმობის პირობების შეუსრულებლობის გამო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ არ მიუთითებია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მისი საქმიანობის პროცესში რაიმე სახის ხელშეშლაზე, რაც ამ მხრივ მის პრეტენზიას დაუსაბუთებელს ხდის.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 16 აპრილის დადგენილების თანახმად, შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ უნდა შეწყვეტილიყო საქმის წარმოება. სასამართლო ასეთი არგუმენტის წარმოდგენის დროს დაეყრდნო შემდეგს:

- შპს „იკორთა 2007“-ს არ მიუმართავს განცხადებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის და არ მოუთხოვია მის სახელზე სანებართვო მოწმობის გაცემა, არ წარუდგენია მისთვის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლით და „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, ასევე, არ წარუდგენია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების ანგარიში, არც შუალედური და არც საბოლოო. სასამართლო სხდომაზე ოქმის ავტორმა ვერ განმარტა, რატომ გაიცა სანებართვო მოწმობა შპს „იკორთა 2007“-ის სახელზე ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორის განცხადებით, როცა მას ამის უფლებამოსილება არ გააჩნდა. ამდენად, არცერთი წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ შპს „იკორთა 2007“-ის დირექტორმა იკისრა რაიმე პასუხისმგებლობა სააგენტოს წინაშე სამუშაოების შესრულების შესახებ და მოითხოვა შესაბამისი ნებართვა. შესაბამისად, იგი არ უნდა იქნას მიჩნეული სამართალდარღვევის სუბიექტად სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე. ამასთან, სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით დადასტურებულად მიიჩნია, რომ შპს „იკორთა 2007“ იყო ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ ქვეკონტრაქტორი, რადგან იგი ასრულებდა სამუშაოებს სამონასტრო ქომპლექსში და პერიოდულად ანგარიშს აღნიშნულის თაობაზე აბარებდა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორს, რომელიც თავის მხრივ წერილებში მოიხსენებდა მას ქვეკონტრაქტორად.

2.3. წარმოება სისხლის სამართლებრივი წესით

2020 წლის 20 ოქტომბერს ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (ს/კ 204861373), გამოძიების დაწყების მოთხოვნით, განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. ორგანიზაცია გამოძიების დაწყებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით ითხოვს. საუბარია სსკ-ის 259[2] მუხლსა *(კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება ან განადგურება)* და ამავე კოდექსის 342-ე მუხლზე *(სამსახურებრივი გულგრილობა)*[5].

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე #092231020001, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259[2]-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, რაც გულისხმობს *სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისებას ან გაფლანგვას, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იმყოფებოდა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანებას ან განადგურებას, ჩადენილი გაუფრთხილებლობით.*

2020 წლის 28 ოქტომბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, დაკმაყოფილდა პროკურორ *დიმიტრი ჩაფიჩაძის* შუამდგომლობა და გაიცა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ ოფისიდან ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა“ და ამერიკის საელჩოს შორის 2013 წლის 13 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა“ და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის 2018 წლის 6

[5] *2020 წლის 10 ოქტომბრის ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წერილი #გ-01/98-20 საქართველოს გენერალურ პროკურორ ირაკლი შოთაძის მიმართ.*

მარტს გაფორმებული ხელშეკრულების, აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებული ვადის გაგრძელების ხელშეკრულებების, ფორმა #2-ების, ხარჯთაღრიცხვების, ექსპერტიზების, გადარიცხვის დოკუმენტაციების, ელექტრონული მიმოწერების, მიღება-ჩაბარების აქტების, პროექტების, ნებართვების, მიმოწერების და სხვა სრული დოკუმენტაციის დედნების ამოღებაზე[6].

2020 წლის 30 დეკემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, დაკმაყოფილდა პროკურორ *თამარ მესხიას* შუამდგომლობა და საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია „ეპტისას“ ჯგუფის უფროსის ელ. ფოსტიდან, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორის ელ. ფოსტიდან, შპს „იკორთა 2007“-ის ელ. ფოსტიდან, საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია „ეპტისას“ ინსპექტორის ელ. ფოსტიდან, ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობის“ გამგეობის თავმჯდომარის ელ. ფოსტიდან და მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის მენეჯერის, მსოფლიო ბანკის კონსულტანტის ელ. ფოსტიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია 2018 წლის 6 მარტს დადებული N:IDA/RDPII/CW/NCB/18-2017 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით 2018 წლის 6 მარტიდან 2020 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდში მიმოწერები[7].

2021 წლის 28 იანვრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, დაკმაყოფილდა პროკურორ *თამარ მესხიას* შუამდგომლობა და ამოღებული იქნა: ა) ქ. თბილისში, მინდელის ქუჩა #7-ში მდებარე სსიპ გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტიდან 2020 წლის 15 ივლისს ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ სსიპ „გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტში“ წარდგენილი კრამიტის ნიმუშები, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა“ და სსიპ „გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტს“ შორის დადებული #18-18/12 ხელშეკრულება და ის დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის მიერ ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა 2018 წლის აპრილში, ბ) ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრიდან“ გელათის სამონასტრო კომპლექსის ეზოში განთავსებული შპს „პრიმუმის“, ი/მ „მაია გაბადაძის“ და ი/მ „გერონტი ექიზაშვილის“ მიერ დამზადებული კრამიტის ნიმუშები, გ) ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩის #23-ში მდებარე კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტი) ლაბორატორიიდან კრამიტის ნიმუშები[8].

2021 წლის 4 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, დაკმაყოფილდა პროკურორ *თამარ მესხიას* შუამდგომლობა და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორისგან ამოღებული იქნა მისი კუთვნილი მობილური ტელეფონი[9].

---

[6] *ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე: #11ა/1528-20, მოსამართლე: ნანა ჯოხაძე.*

[7] *ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 დეკემბრის განჩინება, საქმეზე: #11ა/1825-20, მოსამართლე: ნანა ჯოხაძე.*

[8] *ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 28 იანვრის განჩინება, საქმეზე: #11ა/140-21, მოსამართლე: ციცინო მოსიძე.*

[9] *ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 4 თებერვლის განჩინება, საქმეზე: #11ა/195-21, მოსამართლე: ციცინო მოსიძე.*

3. კომუნიკაცია პროცესის მონაწილეებთან

2021 წლის 6 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[10]:

სააგენტო, რა ღონისძიებების ერთობლიობით და დროის რა პერიოდით, ახორციელებდა გელათის ძეგლზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შემოწმებას და შეფასებას, რა შედეგები აჩვენა დაკვირვებამ და როგორი აღმოჩნდა მათზე რეაგირება?

1. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, სააგენტოს შესაბამისი საბჭოს მხრიდან გელათის ძეგლის რეაბილიტაციის პროცესში, დროის რა მონაკვეთში იქნა მოწონებული ან/და შეცვლილი პროექტები, პროექტის მისაღებობის თაობაზე მომზადებული დასკვნები და რომელი სუბიექტების მიმართ და როდის, რა უფლებააღმჭურველი ნებართვები იქნა გაცემული?

2. მოგვაწოდოთ ინფორმაცია, სააგენტოს მხრიდან რა რეგულარული ხასიათის მოქმედებები იქნა განხორციელებული იმ ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით და რა დაუძველეველი გარემოებების გამო, არ მოხერხდა ასეთი ხარვეზების აღმოფხვრა, ვიდრე ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრისა“ და შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ გამოყენებული იქნებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტი?

3. გთხოვთ, განმარტოთ, რა სამართლებრივი საფუძვლით გაიცა შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ სანებართვო მოწმობა, არსებობს თუ არა კომპანიის მომართვა სააგენტოს მიმართ აღნიშნული ნებართვის მისაღებად?

4. გთხოვთ, განმარტოთ, გელათის ძეგლზე რომელი უფლებამოსილი სუბიექტი ახდენდა (ახორციელებდა) დროებითი გადახურვის სამუშაოებს, რომელი პროექტის ფარგლებში, ვისი ავტორობით იქნა მომზადებული დროებითი გადახურვის სამუშაოების პროექტი და გააჩნდა თუ არა დოკუმენტს სააგენტოს შესაბამისი საბჭოს თანხმობა?

5. გთხოვთ, განმარტოთ, გელათის ტაძრის დროებით გადახურვას ამჟამად ახორციელებს თუ არა შპს „ბაგინეთი+“ (ს/კ 205284495), ხორციელდება თუ არა სამუშაოები ახალი პროექტის მიხედვით. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააზუსტოთ, როდის მოხდა პროექტის ცვლილება, რამ განაპირობა ცვლილება და რა ეტაპზეა მიმდინარე დროებითი გადახურვის პროცესი. ამასთან, მოგვაწოდოთ პროექტი, რომლის მიხედვითაც, ამჟამად მიმდინარეობს გელათის ტაძარზე დროებითი გადახურვის პროცესი.

6. გთხოვთ, განმარტოთ, კომპანია, რომელიც ამჟამად ახორციელებს გელათის ტაძრის დროებითი გადახურვის სამუშაოებს, ახორციელებს თუ არა ამ სამუშაოებს ტენდერის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოცხადებულა ტენდერი, რა სამართლებრივი საფუძველი გააჩნია კომპანიის საქმიანობას. ამასთან, განმარტოთ, ძეგლზე დროებითი გადახურვის სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ბიუჯეტიდან თუ საგრანტო პროექტიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რა თანხის მოცულობას შეადგენს დასახელებული სამუშაოების ეტაპი?

7. გთხოვთ, განმარტოთ, რა ეტაპზეა ამჟამად საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2021 წლის 18 იანვრის წერილით სააგენტოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულება, მათ შორის 2021 წლის 31 დეკემბრამდე, UNESCO-სთან თანამშრომლობით გელათის სამონასტრო კომპლექსის ყველა მიმართულებით შეფასებითი სრულფასოვანი კვლევის დაწყების/ წარმოების შესახებ?

---

[10] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების“ წერილი #099 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიმართ.*

2021 წლის 25 მაისის წერილით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი: „გელათის სამონასტრო კომპლექსის ფართომასშტაბიან რეაბილიტაციის პროგრამას სახელმწიფო 2008 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და კომიტეტის მრჩეველ ორგანოებთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით ეტაპობრივად ახორციელებს. ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გადახურვის რეაბილიტაციას სხვადასხვა ეტაპზე აფინანსებდა აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი (2013-2018 წწ) და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (2018-2019 წწ). ა(ა)იპ ,,საქართველოს მემკვიდრეობის'' შემუშავებული პროექტის მიხედვით, ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ 2013-2019 წლებში გელათის კომპლექსური რეაბილიტაცია განხორციელდა. დანართის (N1) სახით გიგზავნით ინფორმაციასა და შესაბამის დოკუმენტაციას თქვენი წერილის N2 პუნქტით დასმულ საკითხთან დაკავშირებით: სააგენტოს შესაბამისი საბჭოს სხდომის ოქმებიდან ამონაწერს, ასევე, შესაბამის დოკუმენტაციას რომელი სუბიექტების თაობაზე შესაბამისი ბრძანება (ნებართვა) და რა სამუშაოების ჩატარებას გულისხმობდა თითოეული მათგანი. ამასთან, დამატებით, თანდართულ მასალებში წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით შემოსული საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო მყარი ვერსიის ატვირთვა ტექნიკურად ვერ ხორციელდება, რის გამოც სააგენტო მზადყოფნას გამოთქვამს დაინტერესების შემთხვევაში ადგილზე გაეცნოთ ეროვნულ სააგენტოში დაცულ სხვა საპროექტო მასალას.

რაც შეეხება თქვენს წერილში დასმულ პირველ და მესამე საკითხებთან დაკავშირებით: ,,სააგენტო რა ღონისძიებებს და დროის რა პერიოდით ახორციელებდა გელათის ძეგლზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შემოწმებას და შეფასებას და რა შედეგები აჩვენა დაკვირვებამ და როგორი აღმოჩნდა მათზე რეაგირება'', გაცნობებთ, რომ გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სტრუქტურის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, 2020 წლის თებერვალ-მარტში, ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა ინფორმაცია ტაძარზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით, მათ შორის კრამიტის დაზიანებისა და ტაძრის დასავლეთ მკლავში წყლის შესაძლო ინფილტრაციასთან დაკავშირებით.

საპასუხოდ, მდგომარეობის ადგილზე შეფასების მიზნით, 11 მარტს მოეწყო სამუშაო ჯგუფის საველე მისია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა და ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს წინარე ქრისტიანული და შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სექციის, ასევე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, საპროექტო ჯგუფისა და შემსრულებლის წარმომადგენლებმა. 2020 წლის 11 მარტიდან ეროვნული სააგენტოს შესაბამისი პროფილის მქონე სპეციალისტებისა (კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტები, არქიტექტურის რესტავრაციის სპეციალისტები) და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით, სამონასტრო კომპლექსზე განხორციელდა მონიტორინგის არაგეგმიური და გეგმიური მისიები, შემუშავდა შესაბამისი ანგარიშები და რეკომენდაციები, რის საფუძველზეც განისაზღვრა შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებები.

განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში:

- ჩატარდა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის სახელობის ტაძრებსა და სამხრეთ კარიბჭეში არსებული კედლის მხატვრობების მდგომარეობის ანალიზი; განისაზღვრა ისტორიულად დაზიანებული და აქტიური დაზიანების მქონე არეები; აღინუსხა დაზიანების ტიპები და განისაზღვრა დაზიანების აქტივიზაციის პროცესი;
- შეფასდა ფასადებისა და ინტერიერის მდგომარეობა და მათ შორის ურთიერთკავშირი;
- გამოვლინდა 2013-2019 წლებში განხორციელებული რეაბილიტაციის ფარგლებში მოწყობილ გადახურვებზე 2020 წელს დაფიქსირებული დაზიანებების შედეგად კედლის მხატვრობის დაზიანებული მონაკვეთები;

- მიმდინარეობს დაზიანებული ფრაგმენტების მდგომარეობის მონიტორინგი და პერიოდულად გამომარილებულ მონაკვეთებზე მარილის ნაწილობრივი მოხსნა;

ძეგლის ადგილზე შესწავლამ დაადასტურა, რომ ტაძარზე გამოვლენილი პრობლემები გადახურვებს უკავშირდება, კერძოდ კი ორი ძირითადი დაზიანება იქნა გამოვლენილი:

1) დაზიანებულია კრამიტები, რომელიც ახალი მწარმოებლის მიერ განსხვავებული მასალითა და ახალი ტექნოლოგიით იქნა დამზადებული და 2018-2019 წლებში გამოყენებულ იქნა ტაძრის ეკვდერების, ნართექსის, საკურთხევლისა და პასტოფორიუმების გადახურვებისთვის. ეროვნული სააგენტო არ იყო ინფორმირებული კრამიტის წარმოების ტექნოლოგიისა და მასალის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ეროვნული სააგენტოსა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნის საფუძველზე, კრამიტების დაზიანების ხარისხის გამოვლენის მიზნით შემსრულებელმა 2020 წლის სექტემბერში ჩაატარა ექსპერტიზა (განხორციელდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ), რომელმაც აჩვენა, რომ აღნიშნული მწარმოებლის მიერ დამზადებული კრამიტები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს ყინვამედეგობაზე და რომ მათ ახასიათებთ მაღალი წყალშთანთქმა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემსრულებლის მიერ 2018 წელს ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით კრამიტი აკმაყოფილებდა ყინვამედეგობის მოთხოვნებს (კვლევა ჩატარდა სსიპ გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის მიერ), რის საფუძველზეც შემსრულებელმა კომპანიამ შეცვალა კრამიტის კონკრეტული მწარმოებელი და დამზადების ტექნოლოგია, ჩვენთან შეთანხმების გარეშე.

2) გადახურვის მოწყობასთან დაკავშირებული ხარვეზები, რის შედეგადაც ტაძრის დასავლეთ მკლავზე წყლის ძლიერი ინფილტრაცია დაფიქსირდა. დაკვირვებაზე დაყრდნობით, ჩანს, რომ პრობლემა გადახურვებისა და კედლის შეპირაპირების ადგილებში კირის ამორტიზებულ შევსებებს უნდა უკავშირდებოდეს. ტაძრის ამ ნაწილზე, ასევე გუმბათსა და სხვა მკლავებზე კრამიტის დაზიანება არ ფიქსირდება. წყლის ინფილტრაციის შედეგად დასველდა ტაძრის დასავლეთ მკლავის კამარის სამხრეთ ნაწილში არსებული კედლის მხატვრობა, რომლის გამოშრობის პროცესში წარმოიქმნა მარილის ნადები. დასველების შედეგად ნაწილობრივ ჩამოცვივდა მე-20 საუკუნის რესტავრაციისას გაკეთებული ქიმები.

გარდა ამისა, მთავარ ტაძარსა და წმ. გიორგის სახელობის ტაძარში დაფიქსირდა მხატვრობის ორიგინალი მასალის ნაწილაკების ცვენა, რაც ხილულია ეკლესიების იატაკებზე, მაგიდებსა და სადგარებზე და მთავარი ტაძრის საკურთხევლის შემთხვევაში - საფეხურებზე განთავსებულ ხატებზე; მხატვრობის ორიგინალი მასალის, დაახლოებით 1-5 სმ-ის ზომის ფრაგმენტების ჩამოვარდნა დაფიქსირდა:

- მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში (დაზიანების გამომწვევი მიზეზის/წყაროს არსებობის შედეგად);
- მთავარი ტაძრის, მთავარი სივრცის ჩრდილო-დასავლეთ აფრის ქვემოთ; (დაზიანების აქტივიზაციის მექანიზმის შედეგად);
- წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის, სამხრეთ კედლის ცენტრალურ ნაწილში ქტიტორის ფიგურაზე (დაზიანების გამომწვევი მიზეზის/წყაროს არსებობის შედეგად, რომელიც ამჟამად აღმოფხვრილია, ხოლო მხატვრობის დაზიანებული მონაკვეთები დროებითად გამაგრებულია).

გარდა ზემოაღნიშნული მონიტორინგის მისიებისა, ხარაჩოებისა და დროებითი გადახურვის მოწყობის მიმდინარეობისას მუდმივ მეთვალყურეობას ახორციელებდა ეროვნული სააგენტო.

ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე წარიმართა პრევენციული ღონისძიებების გატარება, რა მიზნითაც მთავარ ტაძარზე ეწყობოდა მყარი კონსტრუქციის მქონე დროებითი გადახურვა. ამასთან, იმ

ფაქტის გათვალისწინებით, რომ გამოვლენილი პრობლემები უკავშირდებოდა ხარვეზებით და არაჯეროვნად შესრულებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, აღნიშნულისა და შესაბამისი ღონისძიებების საჭიროების შესახებ მარტშივე ეცნობა შემსრულებელ კომპანიას.

რაც შეეხება თქვენი წერილის მე-4 პუნქტში დასმულ საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით გიგზავნით ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის წერილს და გაცნობებთ, რომ შპს ,,იკორთა 2007''- ზე ნებართვა გაიცა, როგორც ცენტრის ქვეკონტრაქტორ ორგანიზაციაზე.

წერილის მე-5 პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დროებითი გადახურვის სამუშაოებს ახორციელებდა „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი" და ,,იკორთა 2007'', რაც შეეხება საბჭოს სხდომის ოქმებსა და საპროექტო დოკუმენტაციას აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილია დანართის სახით.

წერილის მე-6 და მე-7 პუნქტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ამჟამად დროებითი გადახურვის სამუშაოები არ მიმდინარეობს.

წერილის მე-8 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თანდართულ დოკუმენტებში მოცემულია ეროვნული სააგენტოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორის, მეხტილდ როსლერის სახელზე, 2020 წლის 12 ნოემბერს გაგზავნილი წერილი, რომელშიც ეროვნული სააგენტო თხოვნით მიმართავს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრის დანიშვნის შესახებ. წერილს თან ახლავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელზე მომზადებული წერილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შუამდგომლობის თხოვნით. 2021 წლის 12 იანვარს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან გამართული ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრის შემდეგ, ეროვნულმა სააგენტომ, 2021 წლის 26 იანვარს განახლებული ინფორმაცია მიაწოდა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს გელათის კომპლექსის მდგომარეობის შესახებ. 2021 წლის 26 იანვრის წერილს თან ერთვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელზე მომზადებული წერილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შუამდგომლობის თხოვნით. 2021 წლის 1 აპრილს, მორიგი ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის. როგორც ეროვნული სააგენტოსთვისაა ცნობილი, მოცემული შეხვედრის შემდეგ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილის, ბატონი კახა სიხარულიძის წერილის პასუხად, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრმა წარადგინა და რეკომენდაცია გაუწია ორ ექსპერტს, გელათის კომპლექსის პრობლემების კვლევის სამუშაოები ჩართვის მიზნით და მიმდინარეობს მოლაპარაკება მათი უახლოეს პერიოდში ჩამოყვანის შესაძლებლობაზე.

და ბოლოს, თქვენი წერილის მე-9 პუნქტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ეროვნული სააგენტო ელოდება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას, რომლითაც განისაზღვრება სამართალდამრღვევი პირი და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე მოითხოვს ზიანის ანაზღაურებასა და სამართალდამრღვევი პირის მხრიდან კანონით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებას"[11]

2021 წლის 6 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[12]:

---

[11] *2021 წლის 25 მაისის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ პაატა გაფრინდაშვილის წერილი #09/1763*

[12] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების" წერილი #100 საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის მიმართ.*

1. გთხოვთ, განმარტოთ, რა ეტაპზეა ამჟამად საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2021 წლის 18 იანვრის წერილით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულება, მათ შორის 2021 წლის 31 დეკემბრამდე, UNESCO-სთან თანამშრომლობით გელათის სამონასტრო კომპლექსის ყველა მიმართულებით შეფასებითი სრულფასოვანი კვლევის დაწყების/ წარმოების შესახებ. რა შესრულების ანგარიშები იქნა წარმოდგენილი კომიტეტის მიმართ სააგენტოს მხრიდან?

2. გთხოვთ, განმარტოთ, რა ეტაპზეა ამჟამად საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2021 წლის 18 იანვრის წერილით ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ (ს/კ 204426451) მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულება. კონკრეტულად, რა შესრულება დაევალა და განახორციელა დასახელებულმა ორგანიზაციამ?

3. გთხოვთ, განმარტოთ, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი, გარდა 2021 წლის 18 იანვარს მიღებული რეკომენდაციებისა, დამატებით რა ღონისძიებების განხორციელებაშია ჩართული გელათის ძეგლის ირგვლივ ამჟამად მიმდინარე სამუშაოების შემოწმების და მონიტორინგის მიზნით?

2021 წლის 13 მაისის წერილით, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მხრიდან ორგანიზაციას ეცნობა, რომ წერილობითი მიმართვა განხილვის მიზნით დამისამართდა საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტში[13].

2021 წლის 21 მაისის წერილით, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის მხრიდან ორგანიზაციას ეცნობა, რომ წერილი შემდგომი რეაგირების მიზნით გაეგზავნა სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“[14].

2021 წლის 21 მაისის წერილით, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის მხრიდან ორგანიზაციამ მიიღო საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ გელათის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესრულების შუალედური ანგარიში[15].

2021 წლის 6 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[16]:

1. რა ფორმით და ხარისხით მონაწილეობას სამინისტრო, ამჟამად გელათის ძეგლზე დროებითი გადახურვის სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, როგორც პასუხისმგებელი და ზედამხედველი ორგანო?

2. რა გეგმა გააჩნია სამინისტროს გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის დაცულობის უზრუნველაყოფად - პროგრამების, პროექტებისა და ინიციატივების კუთხით, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე?

---

[13] *2021 წლის 13 მაისის საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის #4268/4-4/21 წერილი;*

[14] *2021 წლის 21 მაისის საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძის #4599/4-16/21 წერილი;*

[15] *2021 წლის 21 მაისის საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძის #4598/4-16/21 წერილი;*

[16] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების“ წერილი #101 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ თეა წულუკიანის მიმართ.*

3. სამინისტრო, ახორციელებს თუ არა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2021 წლის 18 იანვრის წერილით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლს, მათ შორის, მონაწილეობს თუ არა სამინისტრო 2021 წლის 31 დეკემბრამდე, UNESCO-სთან თანამშრომლობით გელათის სამონასტრო კომპლექსის ყველა მიმართულებით შეფასებითი სრულფასოვანი კვლევის დაწყების/ წარმოების პროცესში?

4. საქართველოს კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის 2021 წლის 22 მარტის სატელევიზიო განცხადების თანახმად, „მე, როგორც დეპუტატი, ახლა უკვე მინისტრი, იმიტომ, რომ ჩავიხედე საქმეში, ჩავიხედე დოკუმენტებში, ჩავიხედე პროექტში, მოვუსმინე ადამიანებს და ბევრ მათგანს, ნამდვილად ვთვლი, რომ ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს აქვს სერიოზული ხარვეზები დაშვებული გელათის რესტავრაციის პროცესში“ (განცხადება ტ/კ „იმედის“ ეთერში, 22 მარტი, 2021 წ). გთხოვთ, განმარტოთ, რა ზომები იქნა მიღებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიმართ დაშვებულ ხარვეზებზე პასუსიმგებლობების დასმისთვის და სააგენტოს დირექტორის შეცვლა წარმოადგენს თუ არა მინისტრის განცხადების კონტექსტში ნაგულისხმევ პასუხისმგებლობის ფარგლებს?

<u>2021 წლის 26 მაისის მდგომარეობით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხრიდან ორგანიზაციას არ მიწოდებია გამოხმაურება. ორგანიზაციას გააჩნდა სამინისტროსთან შესაბამისი კომუნიკაცია, თუმცა უშედეგოდ. ორგანიზაცია გამოხმაურების მიღების შემთხვევაში, მას ასახავს კვლევის ელექტრონულ ვერსიაში.</u>

2021 წლის 6 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[17]:

1. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა გარემოებებმა გამოიწვია გელათის ტაძრის გადასახური მასალის – წითელი მოჭიქული კრამიტის ნაცვლად, კერამიკული თეთრი კრამიტით შეცვლა. გახდა თუ არა აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი ხელშეკრულებით განსაზღვრულ 8-თვიან პერიოდში წითელი მოჭიქული კრამიტის დამზადების შეუძლებლობა?

2. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმით ახორციელებდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მონიტორინგს და ზედამხედველობას ტენდერში გამარჯვებული კომპანიის საქმიანობაზე და შესრულებაზე?

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი დაეთანხმა თუ არა გელათის ტაძრის გადასახური მასალის – წითელი მოჭიქული კრამიტის ნაცვლად, კერამიკული თეთრი კრამიტით შეცვლას. ასეთის არსებობის შემთხვევაში, რა საფუძვლით?

4. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია - დოკუმენტის ასლები, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მხრიდან ტენდერის ფარგლებში კონტროლის პროცესში გადასახური მასალის შეცვლაზე გადაწყვეტილებების მოწონებას ან/და მიუღებლობას.

2021 წლის 25 მაისის წერილით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მხრიდან ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი: „იმერეთის რეგიონში, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიო ბანკის დაფინნანსებით განხორციელდა რეგიონული განვითარების მეორე პროექტი (RDP II).

[17] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების“ წერილი #108 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორ გიორგი შენგელიას მიმართ.*

სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მოთხოვნის მიხედვით, აუცილებელია საერთაშორისო საზედამხედველო ორგანიზაციის შერჩევა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების და პროცედურების სრული დაცვით შერჩეული იქნა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანიზაცია EPTISA Servicios de Ingenieria, S.L., რომელიც ახორციელებდა RDP II ყველა ქვე-პროექტის და მათ შორის გელათის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების ყოველდღიურ ზედამხედველობას და კონტრაქტების მართვას."[18]

2021 წლის 6 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[19]:

1. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში რამდენი საჩივარი/განცხადება იქნა რეგისტრირებული, რომელიც შეეხებოდა სსკ-ის 259[2]-ე მუხლის ქვეშ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანებას ან განადგურებას, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განადგურებას, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის დაზიანებას ან განადგურებას? გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვეწოდოს წლების მიხედვით.

2. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სსკ-ის 259[2]-ე მუხლის საფუძველზე, რამდენ შემთხვევაზე იქნა დაწყებული საგამოძიებო მოქმედებები, რამდენ შემთხვევაზე არ მოხდა საგამოძიებო მოქმედებების დაწყება, რა შედეგი დადგა შედეგი გამოძიების პროცესში. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია წლების მიხედვით.

3. ბაგრატის ტაძარზე ჩატარებული სამუშაოების გამო, რომლის შედეგადაც, მან მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი დაკარგა, მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე მულახის თემის - ჟაბეშის მაცხოვრის, ლატალის თემის - მაცხოვრის (მაცხვარიში), მთავარანგელოზის (თარინგზელი), იონა წინასწარმეტყველის (იენაში), ლაჰილის წმ. გიორგის, ლახუშდის მაცხოვრის და ეცერის თემის - ფხუტრერის ტაძრებზე თვითნებურად წარმოებული სამუშაოების შედეგად ავთენტურობის დარღვევის გამო, ყინწვისის მონასტერში მწვანე მარმარილოს დაგებისა და გელათის ძეგლზე ამჟამად დაფიქსირებული გადაცდომების გამო, მიმდინარეობდა/მიმდინარეობს თუ არა სამართლებრივი მოქმედებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, გვეცნობოს შედეგები და საქმისწარმოების ეტაპი.

<u>2021 წლის 26 მაისის მდგომარეობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ორგანიზაციას არ მიწოდებია გამოხმაურება. ორგანიზაციას გააჩნდა სამინისტროსთან შესაბამისი კომუნიკაცია, თუმცა უშედეგოდ. ორგანიზაცია გამოხმაურების მიღების შემთხვევაში, მას ასახავს კვლევის ელექტრონულ ვერსიაში.</u>

2021 წლის 6 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[20]:

---

[18] *2021 წლის 25 მაისის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორ გიორგი შენგელიას წერილი #1562-გ.*

[19] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების" წერილი #102 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის მიმართ.*

[20] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების" წერილი #103 საქართველოს გენერალური პროკურორ ირაკლი შოთაძის მიმართ.*

1. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, საქართველოს პროკურატურაში, რამდენი საჩივარი/განცხადება იქნა რეგისტრირებული, რომელიც შეეხებოდა სსკ-ის 259[2]-ე მუხლის ქვეშ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცული სხვა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანებას ან განადგურებას, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განადგურებას, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის დაზიანებას ან განადგურებას? გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვეწოდოს წლების მიხედვით.

2. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, საქართველოს პროკურატურაში, სსკ-ის 259[2]-ე მუხლის საფუძველზე, რამდენ შემთხვევაზე იქნა დაწყებული საგამოძიებო მოქმედებები, რამდენ შემთხვევაზე არ მოხდა საგამოძიებო მოქმედებების დაწყება, რა შედეგი დადგა შედეგი გამოძიების პროცესში. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია წლების მიხედვით.

3. ბაგრატის ტაძარზე ჩატარებული სამუშაოების გამო, რომლის შედეგადაც, მან მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი დაკარგა, მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე მულახის თემის - ჟაბეშის მაცხოვრის, ლატალის თემის - მაცხოვრის (მაცხვარიში), მთავარანგელოზის (თარინგზელი), იონა წინასწარმეტყველის (იენაში), ლაჰილის წმ. გიორგის, ლახუშდის მაცხოვრის და ეცერის თემის - ფხუტრერის ტაძრებზე თვითნებურად წარმოებული სამუშაოების შედეგად ავთენტურობის დარღვევის გამო, ყინწვისის მონასტერში მწვანე მარმარილოს დაგებისა და გელათის ძეგლზე ამჟამად დაფიქსირებული გადაცდომების გამო, მიმდინარეობდა/მიმდინარეობს თუ არა სამართლებრივი მოქმედებები საქართველოს პროკურატურაში. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, გვეცნობოს შედეგები და საქმისწარმოების ეტაპი.

2021 წლის 21 მაისის წერილით, საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი: „პროკურატურამ განიხილა თქვენი 2021 წლის 6 მაისის განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვას საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებს. გამოძიების დაწყების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან. შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა“[21].

2021 წლის 6 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო განყოფილებას და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[22]:

1. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა გახდა წარმოებული საქმის დაწყების საფუძველი - სახელმწიფოს დაინტერესება თუ კერძო ან/და იურიდიული პირის მომართვა? რა პერიოდიდან დაიწყო საქმის წარმოება?

---

[21] *2021 წლის 21 მაისის საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი ჩილინგარაშვილის წერილი #13/29538.*

[22] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების“ წერილი #104 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების მიმართ.*

2. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ეტაპზეა ამჟამად საგამოძიებო მოქმედებები და რა საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას ჰქონდა ადგილი?

3. გთხოვთ, მოგავწოდოთ ინფორმაცია, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, კიდევ რა საპროცესო მოქმედებებია განსახორციელებელი?

2021 წლის 10 მაისის წერილით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების მხრიდან ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი, რომ „განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებულ გამოძიებაზე ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლებამოსილება აქვთ მხარეებსა და დაზარალებულს. მხარეს ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით წარმოადგენს: ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო დაზარალებული ხსენებული მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად არის: სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. ვინაიდან, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში თქვენ არ სარგებლობთ მხარისა და დაზარალებულის სტატუსით, საგამოძიებო სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ არსებული დეტალური ინფორმაცია. ***ამასთან, სამართალდამცავი უწყება, აქტიურად ახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, საზოგადოებას ეტაპობრივად მიეწოდება ინფორმაცია მიმდინარე საქმის ვითარებასთან დაკავშირებით“***[23].

2021 წლის 5 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[24]:

1. გთხოვთ, განმარტოთ, რა გამოცდილება გააჩნია ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების მიმართულებით. დაასახელეთ განხორციელებული პროექტები.

2. გთხოვთ, განმარტოთ, რა გამოცდილება გააჩნია ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ გელათის ძეგლზე სარებილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის, რა პერიოდიდან და რომელი პროექტის/ინიციატივების ფარგლებში?

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმის თანამშრომლობა ჩამოყალიბდა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა” და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის, რა პროექტების ფარგლებში და რა პერიოდის გათვალისწინებით?

4. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმის თანამშრომლობა ჩამოყალიბდა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა” და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის. ამასთან, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა გარემოებებმა გამოიწვია გელათის ტაძრის გადასახური მასალის – წითელი მოჭიქული კრამიტის ნაცვლად, კერამიკული თეთრი კრამიტით შეცვლა.

---

[23] *2021 წლის10 მაისის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებლის, გიორგი ძოწენიძის #6493/15-04-09 წერილი*

[24] *2021 წლის 5 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების“ წერილი #107 ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ აღმასრულებელ დირექტორ მარიამ დვალიშვილის მიმართ.*

5. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმის თანამშრომლობა ჩამოყალიბდა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრსა" და შემდეგ ორგანიზაციებს შორის: შპს „იკორთა 2007" (ს/კ 205216327), ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობასა" (ს/კ 204545652) და შპს „ბაგინეთი +"-ს (ს/კ 205284495) შორის, რა სამართალ-ურთიერთობების საფუძველზე და რა პერიოდიდან?

6. გთხოვთ, განმარტოთ, ახორციელებდა თუ არა გელათის ძეგლზე დროებითი გადახურვის სამუშაოებს შპს „იკორთა 2007", რომელი პროექტის ფარგლებში, ვისი ავტორობით იქნა მომზადებული დროებითი გადახურვის სამუშაოების პროექტი და გააჩნდა თუ არა დოკუმენტს სააგენტოს შესაბამისი საბჭოს თანხმობა? რა მონაწილეობას იღებდა აღნიშნულ პროცესში ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი"?

7. გთხოვთ, განმარტოთ, რა ეტაპზეა ამჟამად საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2021 წლის 18 იანვრის წერილით ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის" მიმართ მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

8. გთხოვთ, განმარტოთ, რა სამართლებრივი პოზიცია აქვს ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს" საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან 2021 წლის 20 იანვარს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმზე, გელათის ძეგლზე, პროექტის და სანებართვო პირობების სავარაუდოდ დარღვევის გამო ჯარიმის დაკისრების ნაწილში. რა პასუხისმგებლობის ფარგლები გააჩნია ცენტრს გელათის ძეგლის რეაბილიტაციის მიმართ და პროცესში.

2021 წლის 10 მაისის წერილით, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის" მხრიდან ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი:

პირველ შეკითხვასთან მიმართებით - ცენტრი 1996 წლიდან მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების მდგომარეობის კვლევასა, რეკომენდაციების შემუშავებასა და კონსერვაციის მიმართულებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი როგორც წესი ახორციელებს პროექტებისთვის ფინანსურ მოძიებასა და მათ ადმინისტრირებას, ხოლო ფიზიკური სამუშაოები ხორციელდება კონკრეტული მიმართულების მოწვეული სპეციალისტების და/ან კონტრაქტორების მიერ.

ცენტრს განხორციელებული აქვს პროექტები ყინწვისის წმ, ნიკოლოზის (XII-XIII სს), ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის (XII-XIII სს), მარტვილის ღვთისმშობლის (VII-XVII სს.), იკვის წმ. გიორგის (XI. XII-XIII სს) და გელათის ღვთისმშობლის (XII-XVIII სს) ტაძრებზე, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის შენობასა და ნიქოზის სამონსტრო კომპლექსის საეპისკოპოსო სასახლეზე (IX-X სს). ორგანიზაციას ნამუშევარი აქვს თელავის ბატონის ციხის კომპლექსური შესწავლის და საკონსერვაციო გეგმის შემუშავების პროექტზე, ეკატერინე დადიანის სასახლის არქიტექტურული რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოებსა და ბორჯომის ყოფილი კავალერიის შენობის რესტავრაციისა და მუზეუმად ადაპტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროექტებზე.

2006 წელს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი და „Conservazione Beni Culturali" (რომი, იტალია) გახდა ევროკომისიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის „Europa Nostra"-ს პრიზის მფლობელი „ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის" პროექტისათვის.

- 2018 - ბორჯომის ყოფილი კავალერიის შენობის რესტავრაციისა და მუზეუმად ადაპტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. პროექტი ხორციელდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მესამე რეგიონალური განვითარების პროექტის (RDP III) ფარგლებში. პროექტი განხორციელდა „იკომოს საქართველოსთან" თანამშრომლობით.

- 2016 - აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის დრენაჟის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები. პროექტი დაფინანსებულია პრინც კლაუსის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის სწრაფი რეაგირების პროგრამის მიერ.
- 2014-2015 - დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის კომპლექსში შემავალი ეკატერინეს სასახლის რეაბილიტაციის არქიტექტურული პროექტის შემუშავება. დამფინანსებელი აშშ საელჩო საქართველოში. პროექტი განხორციელდა „ იკომოს საქართველოს“ სპეციალისტებთან თანამშრომლობით.
- 2013 - ბატონის ციხის საკონსერვაციო გეგმის შემუშავება, კონტრაქტორი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, დამფინანსებელი: მსოფლიო ბანკი/მუნიციპალური განვითარების ფონდი
- 2011-2012 – „იკვის წმ. გიორგის ეკლესიის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები" პრინც კლაუსის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის სწრაფი რეაგირების პროგრამა
- 2009 – „ნიქოზის სამონასტრო კომპლექსის საეპისკოპოსო სასახლის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები". პრინც კლაუსის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის სწრაფი რეაგირების პროგრამა
- 2006-2008 - მარტვილის ტაძრის ფრესკების კონსერვაცია - გეტის საგრანტო პროგრამა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო.პროექტი განხორციელდა Univercity Roma Tre-ს, Conservacione Beni culturali-სთან (რომი, იტალია), თანამშრომლობით.
- 2006-2007 - მარტვილის ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურის რეაბილიტაცია - საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი
- 2003-2004 - მარტვილის ტაძრის დიაგნოსტიკური კვლევა, საკონსერვაციო ღონისძიებების განსაზღვრა და გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები - გეტის საგრანტო პროგრამა. პროექტი განხორციელდა Univercity Roma Tre-ს, Conservacione Beni culturali-სთან (რომი, იტალია), თანამშრომლობით.
- 2004 – 2006 - ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ფრესკების კონსერვაცია - მსოფლიო მონუმენტთა ფონდი/სამუელ კრესის ფონდი, საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი, მსოფლიო მონუმენტთა ფონდი/რობერტ ვილსონის ფონდი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო. პროექტი განხორციელდა Univercity Roma Tre-ს, Conservacione Beni culturali -სთან (რომი, იტალია), თანამშრომლობით.
- 2002-2003 - ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურის რეაბილიტაცია.მსოფლიომონუმენტთა ფონდი/სამუელ კრესისფონდი.პროექტი განხორციელდა UnivercityRomaTre-ს, ConservacioneBeniculturali-სთან (რომი ტალია), თანამშრომლობით.
- 2000-2001 - ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის დიაგნოსტიკური კვლევა და პირველი რიგის საკონსერვაციო სამუშაოების განსაზღვრა. მსოფლიო მონუმენტთა ფონდი/სამუელ კრესისფონდი. პროექტი განხორციელდა Univercity Roma Tre-ს, Conservacione Beni culturali-სთან (რომი, იტალია), თანამშრომლობით.
- 1998-2000 - ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურის რეაბილიტაცია. პროექტი განხორციელდა: ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის და Conservatione Beni Culturali-ს თანამშრომლობით, ფონდი „ღია საზოგადობა - საქართველო"-ს (OSGF), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის, მსოფლიო ბანკის/ Italian Trust Fun-ის დაფინანსებით.
- 1996-1998 - ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის დიაგნოსტიკური კვლევა და გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოების განსაზღვრა - პროექტი განხორციელდა: ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის და Conservatione Beni Culturali.-ის თანამშრომლობით. ფონდი "ღია საზოგადობა - საქართველო"-ს (OSGF), მსოფლიო ბანკის/ Italian Trust Fun-ის დაფინანსებით.

მეორე შეკითხვასთან მიმართებით - „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ გამოცდილება გელათის ღვთისმშობლის ტაძართან დაკავშირებით მოიცავს რამდენიმე პროექტს კერძოდ:

- 2003-2004 - გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის ნართექსის და ეგვტერების ფრესკების დიაგნოსტიკური კვლევა და პირველი რიგის საკონსერვაციო სამუშაოების დაგეგმვა. დამფინანსებელი: აშშ-ს საელჩო საქართველოში, ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი. ცენტრის როლი- ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება. პროექტი განხორციელდა იტალიელი რესტავრატორების Conservatione Beni Culturali, Univercity Roma Tre, და ეკა პროვალოვას სახ. ლაბოლატორიის „ბეთანია“ სპეციალისტებთან თანამონაწილეობით.
- 2012-2013 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის წმ. მარინეს ეგვტერისა და სამხრეთ კარიბჭის ფრესკების გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები. დამფინანსებელი: აშშ-ს საელჩო საქართველოში, ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი. ცენტრის როლი: პროექტის შემუშავება. ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება. შემსრულებლები - ეკა პროვალოვას სახ ლაბორატორია „ბეთანია“, სარესტავრაციო ჯგუფი „გორსო“, საინჟინრო ჯგუფი „იკორთა 2007“.
- 2014-2015 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის ფრესკების დიაგნოსტირება და კონსერვაცია; დამფინანსებელი: აშშ-საელჩო საქართველოში. ცენტრის როლი: ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება. ფრესკების გადაუდებელი სარეაბილიტაციო პროექტის ავტორი „ბეთაბია“. შემსრულებლები: სარესტავრაციო ჯგუფი „გორსო“.
- 2013-2018 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის და მკლავების გადახურვის რეაბილიტაცია. დამფინანსებელი: აშშ-ს ელჩის დიდი გრანტების პროგრამა, ცენტრის როლი: ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება. სარეაბილიტაციო პროექტის ავტორი ააიპ „საქართველოს მემკვიდრეობა“, საინჟინრო/სარეაბილიტაციო სამუშაოები „იკორთა 2007“, ხელნაკეთი კრამიტი ი/მ გენადი ექიზაშვილი, ი/მ მაია გაბადაძე. ქვის კონსერვაციის სამუშაოები სარესტავრაციო ჯგუფი „გორსო“, „1+1“, „ხელოვნების ნიმუშთა კვლევის და კონსერვაციის ცენტრი“.
- 2015-2017 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის ყელის და მკლავების ქვის კონსერვაცია. დამფინანსებელი:მუნიციპალური განვითარების ფონდი / მსოფლიო ბანკი. ცენტრის როლი: ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება, საკონსერვაციო პროექტის ავტორი „ხელოვნების ნიმუშთა კვლევის და კონსერვაციის ცენტრი“, სარესტავრაციო სამუშაოების შემსრულებლები: „გორსო“, „1+1“, გუმბათის ყელის გასამაგრებელი სამუშაოების არქიტექტურული პროექტის ავტორი ააიპ „საქართველოს მემკვიდრეობა“, საინჟინრო/სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი „იკორთა 2007“.
- 2016-2017 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების ქვის კონსერვაცია. დამფინანსებელი: აშშ-ს ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მცირე გრანტების პროგრამა. ცენტრის როლი: ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება. საკონსერვაციო პროექტის ავტორი „ხელოვნების ნიმუშთა კვლევის და კონსერვაციის ცენტრი“, სარესტავრაციო სამუშაოები: „გორსო“, „1+1“
- 2018-2019 გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლის და სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია. დამფინანსებელი: მუნიციპალური განვითარების ფონდი / მსოფლიო ბანკი. ტენდერის საფუძველზე.ცენტრის როლი: ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება. პროექტის ავტორი: „საქართველოს მემკვიდრეობა“ შემსრულებლები კონტრაქტების საფუძველზე - ზემოთხსენებული ფირმების და ორგანიზაციებიდან ინდივიდუალური სპეციალისტები: პროექტის საავტორო ზედამხედველობა: კახა ტრაპაიძე, („საქართველოს მემკვიდრეობა“), საინჟინრო სამუშაოების ხელმძღვანელი/კონსულტანტი/ზედამხედველი გივი ხურცილავა, („იკორთა 2007“), საინჟინრო სამუშაოების ტექნიკური შემსრულებელი - ტარიელ კერვალიშვილი („იკორთა 2007“). ხელნაკეთი კრამიტი შპს „პრიმუმი“. კარნიზების ქვის საკონსერვაციო სამუშაოების ჯგუფის ხელმღვანელი სანდრო რუბაშვილი (გორსო), ჩრდილოეთ მკლავის ფრესკების გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები -ალექსანდრე რუბაშვილი (გორსო), ნანა კუპრაშვილი („ხელოვნების ნიმუშთა კვლევის და კონსერვაციის ცენტრი“).
- ააიპ „საქართველოს მემკვიდრეობის“ მიერ შემუშავებული სარეაბილიტაციო პროექტები (2014, 2018 წწ.) განხილული და დამტკიცებული იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. სამუშაოების მიმდინარეობა ეტაპობრივად მოწმდებოდა სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ, და სათანადო დადებითი დასკვნის საფუძველზე გაიცემოდა სამუშაოების გაგრძელების ნებართვები. (საჭიროების შემთხვევაში საბუთების წარმოდგენა შესაძლებელია).

მესამე შეკითხვასთან მიმართებით - „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ 1996 წლიდან თანამშრომლობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან. თანამშრომლობა მოიცავდა როგორც პროექტებში პარტნიორობას და/ან თანადაფინანსებას ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე განსახორციელებელი სამუშაოებისთვის ნებართვის მოპოვებას და განხორციელებული პროექტებზე ანგარიშების წარდგენას.

პარტნიორული პროექტები:
2020-2022 - მემკვიდრეობა, ტურიზმი, შემოქმედებითობა - ევროკავშირის შავი ზღვის აუზის სამეზობლო პროგრამის დაფინანსებით, მირზაანის ნიკო ფიროსმანის მუზეუმში „ეთნოგრაფიული კუთხის“ სახელოსნოების გამართვა“

2019 წ. - საერთაშორისო კონფერენცია „დავით გარეჯის მულტიდისციპლინარული კვლევა და განვითარების სტრატეგია“ თბილისი, საქართველო, ევროპა ნოსტრას, და რუსთაველის ფონდის თანადაფინანსებით.

ნებართვები განსახორციელებელ პროექტებზე:

გაცემულია ნებართვები ყველა ზემოთხსენებულ პროექტის სამუშაოების შესრულებაზე.

ცენტრი სისტემატურად წარუდგენდა სააგენტოს განხორციელებული პროექტების სრულ ანგარიშებს. თავის მხრივ, სააგენტო წარუდგენდა ცენტრს მონიტორინგის მისიის დასკვნებს. გელათის პროექტის განხორციელების პერიოდში ცენტრი წარადგენდა „საქართველოს მემკვიდრეობის“ მიერ შემუშავებულ სარეაბილიტაციო პროექტებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ნებართვებისთვის. პროექტების განხილვას ესწრებოდნენ თავად „საქართველოს მემკვიდრეობის“ საავტორო ჯგუფის წარმომადგენლები. დამატებით, ყოველგვარ ტექნიკურ საკითხებზე, საპროექტო ცვლილებებზე და ა.შ. „საქართველოს მემკვიდრეობას“ პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდა სააგენტოს წარმომადგენლებთან, ცენტრის მონაწილეობის გარეშე. (მონიტორინგის დადებითი დასკვნების წარმოდგენა შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში).

მეოთხე შეკითხვასთან მიმართებით - ცენტრმა მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განახორციელა სამი პროექტი:

2015-2017 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის ყელის და მკლავების ქვის კონსერვაცია.
2018-2019 გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლის და სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია.
2018 - ბორჯომის ყოფილი კავალერიის შენობის რესტავრაციისა და მუზეუმად ადაპტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. („იკომოს საქართველოსთან“ თანამშრომლობით)

ცენტრი პროექტების მიმდინარეობის და დასრულებისას ახორციელებდა მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ანგარიშგებას ფონდის მიერ დადგენილი პერიოდულობითა და წესით. გელათის ღვთისმშობლის ტაძარზე განხორციელებული პროექტის მიმდინარეობის მუდმივ მონიტორინგს ახორციელებდა, ასევე ფონდის კონტრაქტორი საზედამხედველო ორგანიზაცია „ეფტისა“. მუნიციპალური განვითარების შიდა რეგულაციების მიხედვით, რაც აღნიშნულია 2018 წლის 6 მარტის კონტრაქტში, კერძოდ, კონტრაქტორი ვალდებულია ყოველი მასალის თუ ტექნიკა/მეთოდოლოგიის, პროექტის ცვლილების და ა.შ. შეთანხმება განახორციელოს საზედამხედველო კომპანიასთან

„ეფტისასთან“. შესაბამისად ცენტრი „ეფტისას“ წარუდგენდა ყველა გამოსაყენებელი მასალის სერტიფიკატს, და მხოლოდ მათგან დასტურის (“NO OBJECTION”), მიღების შემდგომ ახდენდა მის გამოყენებას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ სამუშაოების მიმდინარეობა ყოველდღიურად მკაცრად კონტროლდებოდა საზედამხედველო კომპანიის „ეფტისას“ წარმომადგენლის მიერ და ყოველი თვის ბოლოს გაიცემოდა შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა 2. ამასთან, მდფ-თან დადებული გარანტიის ფარგლებში აღნიშნული დეფექტები გამოსწორებისთვის ცენტრი საკუთარი ხარჯებით ამჟამად განახორციელებს წითელი კრამიტის წარმოებას.

კითხვაზე, რა გარემოებებმა გამოიწვია გელათის ტაძრის გადასახური მასალის –წითელი მოჭიქული კრამიტის ნაცვლად, კერამიკული თეთრი კრამიტით შეცვლა, ცენტრი აღნიშნავს - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გადახურვის კრამიტის შეცვლა მოხდა 2018 წლის პროექტის დაწყებისას. ეს გამოწვეული იყო პროექტის მცირე ხანგრძლივობით, კერძოდ საწყის ეტაპზე პროექტი უნდა დასრულებულიყო 8 თვეში. რა ვადებშიც წითელი თიხის კრამიტის მომწოდებელი ვერ ასწრებდა საჭირო რაოდენობის კრამიტის დამზადებას. (შენიშვნა: მხოლოდ მე-7 თვეში მოხდა მგფ-ის სრული პროგრამის გაგრძელება ერთი წლით, რამაც ასევე მისცა გელათის პროექტს დამატებითი ერთი წელიწადის გამოყენების შესაძლებლობა).

შესაბამისად, აუცილებელი კრამიტის მოძიების მიზნით ცენტრმა ჩაატარა მარკეტინგული კვლევები, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რის შედეგადაც გამოიკვეთა ქართული კომპანია - შპს „პრიმუმი“, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა თურქეთიდან იმპორტირებული თეთრი თიხით ჩამოსხმის წესით დამზადებულ მოჭიქული ხელნაკეთი კრამიტის მოწოდებაზე. „პრიმუმის“ მიერ დამზადებულმა კრამიტმა გაიარა ექსპერტიზა წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის ლაბორატორიაში (იმავე ლაბორატორიაში, სადაც 2010 წელს ექსპერტიზა გაიარა წითელმა კრამიტმა). მიღებული დასკვნა და თანმხლები წერილი, კრამიტის მწარმოებლის ცვლილებაზე, წარდგენილ იქნა, როგორც დონორ ორგანიზაციასთან (მგფ), ასევე საზედამხედველო კომპანიასთან (ეფტისა), პროექტის ავტორთან („საქართველოს მემკვიდრეობა“) საინჟინრო შემსრულებელ კომპანიასთან („იკორთა - 2007“). მუნიციპალური განვითარების ფონდისა და „ეფრისა“-სგან გამოითქვა მოსაზრებები კრამიტის წყლის შეწოვადობის მაღალ კოეფიციენტთან დაკავშირებით, მაგრამ მწარმოებელ კომპანიის „პრიმუმის“ წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ, ცენტრთან გამოგზავნილი იქნა ამ კრამიტის გამოყენების უფლება ე.წ. NO OBJECTION. (დოკუმენტების წარმოდგენა შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში).

მეხუთე შეკითხვასთან მიმართებით - ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობა“ წარმოადგენს გელათის კომპლექსის გენერალური გეგმის პროექტის ავტორს, მას განხორციელებული აქვს გელათის მონასტერში 2008 წლიდან მთელი რიგი სარეაბილიტაციო პროექტები (აკადემიის შენობის აღდგენა, წმ. გიორგის ტაძრის გადახურვა, წმ. ნიკოლოზის და სამრეკლოს გადახურვა), ყველა ამ პროექტის სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაცია იყო „იკორთა 2007. („ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ მონაწილეობის გარეშე)

2013 წელს საქართველოს მემკვიდრეობის ხელმძღვანელმა კახა ტრაპაიძემ, თხოვნით მიმართა ცენტრს ღვთისმშობლის ტაძრის გადახურვის და სარეაბილიტაციო სამუშაოების „საქართველოს მემკვიდრეობის“ პროექტით განხორციელებისთვის თანხების მოსაძიებლად. ამავდროულად ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამუშაოების შესრულებას და მათ კონტროლსა და ზედამხედველობას თავად „საქართველოს მემკვიდრეობა“ და „იკორთა 2007“ განახორციელებდნენ. ცენტრის ვალდებულებაში შედიოდა მხოლოდ თანხის მოძიება და ადმინისტრირება და შესაბამისად პროექტის განსახორციელებლად სააგენტოდან ნებართვის მიღება და ანგარიშების წარდგენა. სამართლებრივად, ცენტრსა და „საქართველოს მემკვიდრეობას“ შორის არის დადებული ხელშეკრულებები პროექტების მიხედვით. 1. 01.10.2013წ. – 2016 წლის 30 სექტემბერი. 2. 01.12.2015წ. - 2017წლის 30 ნოემბერი. 3. კახა

ტრაპაიძესთან ინდივიდუალურად მგფ-ის პროექტის ფარგლებში. 30 მარტი, 2018 წ. „ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და პროექტის დასრულებამდე“.

კახა ტრაპაიძის მოვალეობა იყო პროექტის განხორციელებაში უშუალო ჩართულობა და საავტორო ზედამხედველობა. ასევე პროექტირებაში არსებული ცვლილებების სააგენტოსთან შეთანხმება, და ცენტრისათვის ნებართვის მისაღებად მომზადება.

ამასთანავე, ტაძარში პრობლემების გამოვლენის შემდგომ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით, „საქართველოს მემკვიდრეობამ“ განახორციელა დროებითი გადახურვის პროექტი, რომელიც არაერთხელ გადაკეთდა სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად. „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“, ამ შემთხვევაშიც, სააგენტოს მოთხოვნით ფორმალურად მონაწილეობდა „საქართველოს მემკვიდრეობის“ მიერ შემუშავებული პროექტების სააგენტოში მის სახელზე ნებართვების მისაღებად. „საქართველოს მემკვიდრეობას“, ასევე, წერილობით აქვს მიწერილი სააგენტოსთან დროებითი გადახურვის მიმდინარეობის დროს საავტორო ზედამხედველობის ჩატარებაზე (წერილის წარმოდგენა შესაძლებელია).

შპს „იკორთა 2007“„საქართველოს მემკვიდრეობასთან“ ერთად 2008 წლიდან მუშაობდა გელათის სხვადასხვა ნაგებობის საინჟინრო სამუშაოების განხორციელებაზე. „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“ აშშ პროექტის ფარგლებში, 2013 წლიდან გააფორმა ხელშეკრულება „იკორთა 2007“-თან, საინჟინრო სამუშაოების ჩატარებაზე, როგორც წინა ეტაპების საინჟინრო სამუშაოების გამგრძელებელთან. სამუშაოები სრულდებოდა მისივე თანამშრომლების გივი ხურცილავა (ინჟინერი), ტარიელ კერვალიშვილი (სამუშაოთა მწარმოებელი) და ასევე მათ მიერ შერჩეული მუშების მიერ. ხელშეკრულებები გაფორმებული არის ეტაპობრივად პროექტების მიხედვით: აშშ პროექტის ფარგლებში - 1. 2013 წლის 1 ოქტომბრიდან -2014 წლის 31 დეკემბრამდე. 2. 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე. 3. 2017 წლის 3 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე. 4. მგფ-ის პროექტის ფარგლებში, ინდივიდუალურად, გივი ხურცილავასთან - ხელმოწერის დღიდან (30 მარტი, 2018) პროექტის დასრულებამდე.

2020 წლის მარტში ღვთისმშობლის ტაძარში პრობლემების გამოვლენის შემდგომ, სააგენტოს მიერ დროებითი გადახურვის მოწყობის მოთხოვნის შესაბამისად, „იკორთა 2007“-მა განახორციელა „საქართველოს მემკვიდრეობის“ მიერ შემუშავებული და სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით დროებითი გადახურვის სამუშაოები მკლავებსა და ზედა იარუსებზე. 2014-2017 წლებში, ამ ადგილების გადახურვა თავად ჰქონდა შესრულებული, როგორც ქვეკონტრაქტორს და სადაც (დას. მკლავში) დაფიქსირდა წყლის ჩადინება. სამუშაოებს ამჯერადაც აწარმოებდა „იკორთა 2007“-ის თანამშრომელი სამუშაოთა მწარმოებელი ტარიელ კერვალიშვილი მისივე შერჩეულ მუშათა ჯგუფთან ერთად. დააფინანსა „იკორთა - 2007“-მა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს მემკვიდრეობის“ პროექტის მიხედვით, შესრულებული სამუშაოები და პროექტი, რამოდენიმეჯერ გადაკეთდა სააგენტოს თანამშრომლებთან (ნიკო ზაზუნიშვილთან), გივი ხურცილავას („იკორთა - 2007“), და „საქართველოს მემკვიდრეობის“ არქიტექტორებთან ერთიანი მოლაპარაკებების შედეგად. „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“, ამ შემთხვევაშიც იყო შუამდგომელი ნებართვის მისაღებად, ნებართვა გაცემული იყო, როგორც ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის, ასევე „იკორთა 2007“-ის სახელზე. ტაძრის ქვედა იარუსებზე (ეკვდერებზე), სამუშაოები დააფინანსა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა, ხოლო შეასრულა ტარიელ კერვალიშვილის ჯგუფმა.

შპს „ბაგინეთთან“ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ არანაირი შეხება არ ჰქონია. რამდენადაც სოციალური მედიიდან არის ცნობილი, „ბაგინეთმა“ დაასრულა დროებითი გადახურვის სამუშაოები, როგორც მთავარ ტაძარზე, ასევე წმ. გიორგის ტაძარზე სააგენტოს მიერ შემუშავებული ახალი პროექტის მიხედვით.

მეექვსე შეკითხვასთან მიმართებით **-** დიახ, გელათის ძეგლზე დროებითი გადახურვის სამუშაოებს ახორციელებდა შპს „იკორთა 2007“. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დროებითი გადახურვის სამუშაოების პროექტი მომზადდა „საქართველოს მემკვიდრეობის“ მიერ, შეთანხმებული იყო სააგენტოსთან, რამოდენიმე ცვლილების გათვალისწინებით. ცვლილებები შემუშავებული იყო „იკროთას“ მიერ, რომლებიც არაერთხელ იყო განხილული სააგენტოს სპეციალისტების (ნიკო ზაზუნიშვილი), „იკორთა - 2007“ და „საქართველოს მემკვიდრეობის“ სპეციალისტების შეხვედრებზე. „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ ამ ტექნიკური სამშენებლო საკითხების მოლაპარაკებებში არ მონაწილეობდა. ამ შემთხვევაშიც, ცენტრი სააგენტოს დაჟინებული მოთხოვნით იყო „საქართველოს მემკვიდრეობის“ პროექტის სანებართვოდ წარმდგენი. ნებართვები გაცემული იყო, როგორც ცენტრზე, ასევე „იკორთა 2007“-ზე.

დროებითი გადახურვის სამუშაოებს ინტენსიურ მონიტორინგს უწევდა სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები და არქიტექტორები. ასევე, ნებართვის მიხედვით, საბოლოო სამუშაოები და ანგარიში წარედგინა ეტაპობრივად სააგენტო, ხოლო საბოლოო, სააგენტოს შენიშვნების გათვალისწინებით, 2020 წლის 23 ნოემბერს. უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს წარმომადგენლები არ ყოფილან ძეგლზე 2021 წლის 18 იანვრამდე.

მეშვიდე შეკითხვასთან მიმართებით **-** 2021 წლის 15 იანვარს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა ჩაატარა გასვლითი სესია გელათში, რომელზეც გამოავლინა დროებითი გადახურვის რიგი დეფექტები. 2021 წლის 18 იანვარს, დეფექტების გამოსწორების მიზნით, ძეგლზე იმყოფებოდნენ, როგორც სააგენტოს წარმომადგენლები, ასევე შემსრულებლები „იკორთა 2007“-ის წარმომადგენლები (გივი ხურცილავა, ტარიელ კერვალიშვილი). ვიზიტის მიზანი იყო პარლამენტის კომისიის წერილში გამოთქმული რეკომენდაციების შესრულება. ძლიერი ქარის გამო დროებითი გადახურვაზე (დასავლეთ მკლავზე) გამოვლინდა დამატებითი დეფექტი (ქარმა ნაწილობრივ ააძრო თუნუქის ფირფიტა). ამ მიზეზით, სააგენტოს ხელმძღვანელმა დროებით გადახურვის დეფექტების გამოსწორებას ჩამოაშორა, როგორც „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ (ნებართვის მიმღები), ასევე შემსრულებელი „იკორთა 2007 და კერძოდ გივი ხურცილავა და ტარიელ კერვალიშვილი და სამუშაოების გაგრძელება დაავალა „ბაგინეთი+“-ს, რომელის თანადამფუძნებელი არის კახა ტრაპაიძე. ახალი სამუშაოების განსახორციელებლად, სააგენტომ, ასევე შეიმუშავა ახალი პროექტი, სააგენტოს არქიტექტორის ნიკო ზაზუნიშვილის ხელმძღვანელობით. სააგენტომ სასამართლოში შეიტანა სარჩელი ადმინისტრაციულ ჯარიმაზე „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ და „იკორთა 2007-ის მიმართ. შესაბამისად, ეს ორი ორგანიზაცია ჩამოშორებულ იქნა საპარლამენტო კომიტეტის რეკომენდაციების განხორციელებას.

მერვე შეკითხვასთან მიმართებით **-** „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ არ ეთანხმება გამოტანილ ადმინისტრაციულ ჯარიმას, რადგან 1. სააგენტო სამუშაოების ჩაბარების მხოლოდ 2 თვის შემდგომ განიხილა ეს საკითხები, და ასევე სამუშაოების შემსრულებელი იყო „იკორთა 2007 და მისი თანამშრომელი ტარიელ კერვალიშვილი. ცენტრი იყო მხოლოდ შუამავალი შემსრულებლებსა და სააგენტოს შორის, ნებართვის მიღების საკითხში, მაშინ როდესაც უშუალოდ სამუშაოები - დაპროექტების და შესრულების ეტაპებზეც ტარდებოდა „საქართველოს მემკვიდრეობის“, „იკორთა-2007“-ის და სააგენტოს თანამშრომლების უშუალო მონაწილეობით.

მეორეს მხრივ, მუნიციპალური განვითარების პროექტის ფარგლებში, ცენტრს აქვს ვალდებულება, რომ გამოასწოროს დეფექტები. კერძოდ შპს „პრიმუმის“ მიერ დამზადებული უხარისხო კრამიტი. როგორც ზემოთ აღინიშნა, მუნიციპალური განვითარების ფონდის და საზედამხედველო კომპანიის „ეფტისას“ ნებართვით, ცენტრმა დაუკვეთა „პრიმუმს“ წულუკიძის ლაბორატორიის მონაცემების მიხედვით კრამიტის დამზადება. 2020 წლის გაზაფხულზე კრამიტის დეფექტების გამოვლენის შემდეგ, ცენტრმა გადაამოწმა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გამოყენებული კრამიტის მონაცემები, რომლებიც რიგ შემთხვევაში არ შეესატყვისებოდა წულუკიძის დასკვნის მონაცემებს. შესაბამისად, როგორც მგფ-ის კონტრაქტორს ცენტრს ევალება წუნდებული კრამიტის გამოსწორება, რომელსაც ახორციელებს ცენტრი.

მას საკუთარი სახსრებით აქვს შეკვეთილი ი/მ გაბადაძესთან 3000 წითელი თიხის კრამიტი. ამ ეტაპზე გაბადაძის კრამიტი გადის ექსპერტიზას სამხარაულის ბიუროში პროექტით დამტკიცებული 2010 წლის ექსპერტიზასთან შესაბამისობაზე და ცენტრი გამოთქვამს მზაობას მათ გამოცვლაზე 2014 და 2018 წლებში სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროექტების მეთოდოლოგით, მაგრამ ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ასევე მიმდინარეობს მოკვლევები პროექტით დამტკიცებული კრამიტის დაგების მეთოდოლოგიის სისწორეზე. კერძოდ, სველ კირდუღაბზე კრამიტის პირდაპირი დაგების გაუმართლებლობას აღნიშნავს არაერთი ქართველი და საერთაშორისო სპეციალისტი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმულია მოსაზრება გადახურვის სრული პროექტის არასრულყოფილებაზე. რომელიც თავად შეიძლება მოიაზრებოდეს დეფექტების გამომწვევ მიზეზებად[25].

2021 წლის 6 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა შპს „იკორთა 2007“-ს და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[26]:

1. გთხოვთ, განმარტოთ, რა გამოცდილება გააჩნია შპს „იკორთა 2007“-ს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების მიმართულებით. დაასახელეთ განხორციელებული პროექტები.

2. გთხოვთ, განმარტოთ, რა გამოცდილება გააჩნია შპს „იკორთა 2007“-ს გელათის ძეგლზე სარებილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის, რა პერიოდიდან და რომელი პროექტის/ინიციატივების ფარგლებში?

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმის თანამშრომლობა ჩამოყალიბდა შპს „იკორთა 2007“-სა და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ (ს/კ 204426451) შორის, რა პროექტების ფარგლებში და რა პერიოდის გათვალისწინებით?
4. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან რა სამართლებრივი საფუძვლით გაიცა შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ, არსებობს თუ არა კომპანიის მიმართვა სააგენტოს მიმართ აღნიშნული ნებართვის მისაღებად?

5. გთხოვთ, განმარტოთ, ახორციელებდა თუ არა გელათის ძეგლზე დროებითი გადახურვის სამუშაოებს შპს „იკორთა 2007“, რომელი პროექტის ფარგლებში, ვისი ავტორობით იქნა მომზადებული დროებითი გადახურვის სამუშაოების პროექტი და გააჩნდა თუ არა დოკუმენტს სააგენტოს შესაბამისი საბჭოს თანხმობა?

2021 წლის 06 მაისის წერილით, შპს „იკორთა 2007“-ის მხრიდან ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი: *„მიმართვის საპასუხოდ განგიმარტავთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ ორგანიზაციასა და მითითებულ საქმეს შორის კავშირი არ იკვეთება. შესაბამისად, თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურს, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, რომ აღმოგიჩინოთ დახმარება”[27].*

2021 წლის 6 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობას“ და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[28]:

---

[25] 2021 წლის 10 მაისის ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორ მარიამ დვალიშვილის წერილი

[26] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების“ წერილი #105 შპს „იკორთა 2007“-ის დირექტორ გივი ხურცილავას მიმართ.*

[27] *2021 წლის 6 მაისის შპს „იკორთა 2007“-ის წარმომადგენლის, ლაშა მჭედლიძის ელექტრონული წერილი;*

[28] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების“ წერილი #106 ა(ა)იპ „საქართველოს მენმკვიდრეობის“ გამგეობის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძის მიმართ.*

1. გთხოვთ, განმარტოთ, რა გამოცდილება გააჩნია ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობას“ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების მიმართულებით. დაასახელეთ განხორციელებული პროექტები.

2. გთხოვთ, განმარტოთ, რა გამოცდილება გააჩნია ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობას“ გელათის ძეგლზე სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის, რა პერიოდიდან და რომელი პროექტის/ინიციატივების ფარგლებში?

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ფორმის თანამშრომლობა ჩამოყალიბდა ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობას“ და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ (ს/კ 204426451) შორის, რა პროექტების ფარგლებში და რა პერიოდის გათვალისწინებით?

2021 წლის 26 მაისის მდგომარეობით, ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობის“ მხრიდან ორგანიზაციას არ მიწოდებია გამოხმაურება. ორგანიზაციას გააჩნდა შესაბამისი კომუნიკაცია, თუმცა უშედეგოდ. ორგანიზაცია გამოხმაურების მიღების შემთხვევაში, მას ასახავს კვლევის ელექტრონულ ვერსიაში.

2021 წლის 5 მაისს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა ცნობილ იურისტსა და ევროსასამართლოს ექსპერტს ლია მუხაშავრიას და მოითხოვა გამოხმაურება შემდეგ საკითხებზე[29]:

1. რა სამართლებრივი შეფასება შეიძლება მიეცეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - გელათის ტაძრის მიმართ არსებულ მდგომარეობას, რა პასუხისმგებლობა ვლინდება სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე?

2021 წლის 23 მაისის წერილით, ლია მუხაშავრიას მხრიდან ორგანიზაციას მიეწოდა საკითხზე შეფასება და ანალიზი: „გელათის ტაძრის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი, სამართლებრივი და სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოვლინდა: სისტემური სამართლებრივი პრობლემები სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის, გელათის მოვლის ვალდებულების განხორციელების თვალსაზრისით, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა გელათის რეკონსტრუქციის პროცესში დაშვებული არსებითი ხასიათის შეცდომები. თანამედროვე საქართველოში არ არსებობს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის რეკონსტრუქციის ჯეროვნად განხორციელების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია.

სახელმწიფოს ვალდებულებას - მოვლა-პატრონობა გაუწიოს მისი კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს - არ გააჩნია სამართლებრივი რეგულირების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციურ, დაბალანსებულ, ურთიერთ გაწონასწორებულ საქმიანობას ამ მიზნის მისაღწევად. მოქმედი კანონმდებლობით, ძეგლების მოვლა-პატრონობის უფლებამოსილება ეკისრება კულტურის სამინისტროსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც შეიქმნა და მოქმედებს კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე. დებულება განსაზღვრავს სააგენტოს დანიშნულებას, ფუნქციებს და საქმიანობას. დებულების თანახმად, სააგენტოს მიზნები და ამოცანებია: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლებისა და ობიექტის დაცვა, მოვლა-პატრონობა, სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვა და პოპულარიზაცია; სამეცნიერო-კველვითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება.

ამ მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობის განხორციელებისთვის სააგენტოს მინიჭებული აქვს ყველა უფლება, მათ შორის: „..ობიექტებზე ჩასატარებელი კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების მეთოდოლოგიური ექსპერტიზა, ძეგლების დაცვისა და კონსერვაციის

[29] *2021 წლის 6 მაისის ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების“ წერილი #109 ქ-ნ ლია მუხაშავრიას მიმართ.*

პროგრამებისა და დოკუმენტაციის შემუშავება, ძეგლების შემოწმება და სამართალდარღვევათა ფაქტების სამინისტროსთვის შეტყობინება რეაგირებისათვის, მეცნიერულად შეისწავლოს კონკრეტული ძეგლები და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტები. მათი კვლევისა და რეაბილიტაციის საკითხებთან დაკავშირებით შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები და პროექტები, შეადგინოს კონკრეტული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო პროექტი და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მისი განხორციელება, ძეგლზე აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები.“ ამრიგად, სააგენტო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების მიმართ უფლებამოსილია განახორციელოს რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის და სხვა სამუშაოების პროექტირება, მოახდინოს აღნიშნული პროექტების დამტკიცება, დამტკიცებული პროექტების განხორციელება, შესრულებული სამუშაოების შემოწმება და კონტროლი, ასევე სამართალდარღვევათა ფაქტების სამინისტროსთვის შეტყობინება რეაგირებისათვის. იურიდიულად ეს ნიშნავს, რომ პროექტირების ეტაპიდან დაწყებული სამუშაოების დასრულებამდე და ამ სამუშაოების კონტროლი ყველა ეტაპზე არის სააგენტოს კომპეტენცია მისი მხრიდან ყოველგვარი ანგარიშვალდებულების გარეშე და ინტერესთა სრული კონფლიქტის პირობებში, მხოლოდ და მხოლოდ სამინისტროსადმი ანგარიშვალდებულებით.

ვფიქრობთ, უფლებამოსილების ამგვარი კონცენტრაცია ერთი სააგენტოს ხელში, გახდა კიდეც გელათის რეკონსტრუქციის პროცესის უკონტროლობისა და უმართებულობის უმთავრესი მიზეზი. მიუხედავად იმისა, როგორ განვითარდება გელათის რეკონსტრუქცია, რეგულირების სფეროს სათანადო სამართლებრივი დაბალანსებისა და შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების გარეშე, ვფიქრობთ, მსგავსი პრობლემა მომავალში სხვა ძეგლთან დაკავშირებითაც შეიძლება წარმოიშვას, როგორც სააგენტოს არასათანადო მენეჯმენტისა და კომპეტენციის შედეგი.

გამოვლენილ სისტემურ სამართლებრივ ხარვეზს მივყავართ დასკვნამდე, რომ თუკი ძეგლის მოვლა-პატრონობის საქმე არ იქნება გადანაწილებული რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს ხელში, ან თუნდაც ერთი იურიდიული პირის ქვეშ არ მოხდება ძეგლის მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი ყველა ეტაპის დანაწევრება პროექტირებიდან დაწყებული, პროექტის განხორციელებისა და მისი კონტროლის ჩათვლით ისე, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, ვერ განხორციელდება ძეგლების ჯეროვანი მოვლა-პატრონობა.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ამგვარი დანაწევრებული და ურთიერთ გაწონასწორებული სამართლებრივი რეგულირება უზრუნველყოფს ძეგლებზე სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოების ჯეროვან განხორციელებას. კონკრეტულად, გელათის მაგალითზე გამოვლინდა, რომ სააგენტომ დაამტკიცა ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტი, ამავე სააგენტომ გასცა რეკონსტრუქციის ნებართვა, სააგენტომ დაავალა კონკრეტულ სუბიექტს ამ პროექტის განხორციელება, სააგენტო ახორციელებდა პროექტის მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირებას და გამოსწორებას პროექტის დონეზე, რაც ყოველთვის პროცედურულად არ აისახებოდა თავად პროექტსა და სამუშაოების განხორციელებაზე ნებართვის მიმღები სუბიექტის საქმიან დოკუმენტებში, ხოლო ხარვეზისა და გელათში სახურავიდან წყლის ჩასვლის შემდეგ, სააგენტომვე გადაწყვიტა, ვინ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი ისე, რომ როგორც სახელმწიფოს მხრიდან კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლზე დაშვებული შეცდომისათვის არავითარი პასუხისმგებლობა არც თავად უკისრია და არც სამინისტროს დაუკისრებია მისთვის.

ჩვენი მტკიცებით, სწორედ სააგენტოს პასუხისმგებლობის საკითხია, რომ რადგან საქართველოში დღეისათვის არ აღმოჩნდა სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის სპეციალისტი გელათის რეკონსტრუქციის ურთულესი სამუშაოს ჯეროვნად შესასრულებლად, სააგენტო იყო ვალდებული მოეწვია შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების უცხოელი სპეციალისტი, თუნდაც პროექტის კონსულტანტის ფუნქციით, მით უფრო, რომ დებულების თანახმად, სწორედ მისი ვალდებულებაა ...“მეცნიერულად შეისწავლოს კონკრეტული ძეგლები და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის

სხვა ობიექტები. მათი კვლევისა და რეაბილიტაციის საკითხებთან დაკავშირებით შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები და პროექტები“, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, იმავე დებულების თანახმად „საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.“

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სააგენტოს დებულება ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს საქმიანობას და ქმნის ძეგლების მოვლა-პატრონობის სერიოზული ჩავარდნის საფუძველს. ძეგლების მოვლა-პატრონობის მნიშვნელოვანი საქმე, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს კარგად გააზრებული პოლიტიკისა და სათანადო სამართლებრივი რეგულირების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ძეგლზე განსახორციელებელი ყველა ტიპის მოვლა-პატრონობის საქმეს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის, კომპეტენტურობის, ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის პირობებში, ყოველ ეტაპზე, შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოებისა და პირების გამოკვეთის გზით. ვიმედოვნებთ, გელათის შემთხვევა არსებული სისტემური ხარვეზების აღმოფხვრის საფუძველს შექმნის და მომავალში გამორიცხავს მსგავს მაგალითებს.[30]“

[30] *2021 წლის 23 მაისის ლია მუხაშავრიას წერილი ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის მიმართ.*

4 დასკვნა

ორგანიზაცია ყურადღებით გაეცნო გადაწყვეტილებებს, დასკვნებსა და სამართლებრივ მოსაზრებებს, რომელიც მიღებული იქნა სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებების მხრიდან გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების უზრუნველსაყოფად და აქვს საკმარისი დასაბუთება იმსჯელოს სახელმწიფოს, ძეგლის რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოებში ჩართული კერძო სუბიექტების პასუხისმგებლობის ფარგლებზე, მათ სტატუსზე და უფლებამოსილებაზე, წარმოებული სამართლებრივი დავის ფარგლებში *(იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში მიერ 2021 წლის 16 აპრილს მიღებული დადგენილება)*, სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის მნიშვნელობასა და კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელად დაცვის ვალდებულებაზე, ვინაიდან ერთის მხრივ, სახეზეა სახელმწიფო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, მეორეს მხრივ კი გელათის ტაძრის/ძეგლის რეაბილიტაციასა და სამუშაოებზე სხვადასხვა ფარგლებით პასუხისმგებელი კერძო სუბიექტები: ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობა“, შპს „იკორთა 2007“, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“, შპს „ბაგინეთი+“, წარმოებული სასამართლო პროცესი და მაღალი საჯარო ინტერესი, რა დროსაც ჭეშმარიტების დადგენას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რათა სამოქალაქო და სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც მტკიცების ტვირთი, სამართლიანად იქნეს გადანაწილებული და არ მოხდეს დაუსაბუთებელი კრიტიკის წარმოება რეალური შედეგებისა და ფაქტების დადგენის გარეშე.

ორგანიზაცია, უწინარესს ყოვლისა, ყურადღებას დაუთმოს დემოკრატიულ საზოგადოებაში მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საკითხების მიმართ მიდგომის, შეფასებისა და გადაჭრის ამოსავალ პრინციპებს, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, არ დაუშვავს ფორმალური გადაწყვეტილებები უფლებების დაცვის სფეროში, არ შექმნას მიკერძოების აღქმა გონიერი დამკვირვებლის თვალში და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით, პასუხი გასცეს არამხოლოდ გაჩენილ შეკითხვებს კომპეტენტური ორგანოების საქმიანობის მიმართ, არამედ არ ჩაერიოს სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებაში, რათა კანონის წინაშე ყველას თანასწორუფლებიანობით დადგინდეს პროცესის მონაწილე სუბიექტების სამართლებრივი პასუხისმგებლობა ან/და გამოირიცხოს ასეთი პასუხისმგებლობის ფარგლები.

„სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალდამრღვევთა დევნისა და პასუხისგებაში მიცემის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს. სახელმწიფოს დისკრეციის და იმავდროულად, პასუხისმგებლობის სფეროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საერთო შეთანხმების საგნად ქცეული სავალდებულო ქცევის წესების დარღვევის გამოვლენა, დამრღვევ პირთა სწორად იდენტიფიცირება და ინდივიდუალურ მიდგომაზე დაყრდნობით პროპორციული, ამასთან, საკმარისი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება. შესაბამისად, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, პირმა პასუხი უნდა აგოს თუ არა კანონის წინაშე ან/და რა ფორმით უნდა აგოს პასუხი, უნდა მიიღონ ამისათვის შექმნილმა ლეგიტიმურმა სახელმწიფო ორგანოებმა. მაშასადამე, ბრალმდებლის ფუნქცია უნდა იტვირთოს სახელმწიფომ, საამისოდ შექმნილი შესაბამისი ორგანოების მეშვეობით, რომლებსაც აქვთ სათანადო კომპეტენცია, კვალიფიკაცია და მოქმედებენ საზოგადოების სახელით, კერძო ინტერესის გარეშე.

სახელმწიფომ როგორც, ერთი მხრივ, ემოციურად არდაკავშირებული მსხვერპლის /დაზარალებულის განცდასთან, ტკივილთან, სტრესთან და, მეორე მხრივ, როგორც უპირველესი ვალდებულების მქონე – დაიცვას თითოეული ადამიანის უფლება და საზოგადოებრივი წესრიგი, შეთანხმებული საზოგადოების წევრებს შორის, არის/უნდა იყოს ის ინსტრუმენტი, რომელიც ობიექტურად ხელს შეუწყობს საქმის სწორად გადაწყვეტას, როგორც უსამართლოდ ვინმეს ბრალდების/მსჯავრდების თავიდან აცილებას, ისე კონკრეტული ადმიანებისა და საზოგადოებისათვის გამოწვევადი საფრთხეების პრევენციას.

ამასთან, დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის/მსხვერპლის ინტერესების სათანადოდ დაცვას, მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას.[31]“

„სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩეს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების არცერთი უკანონო ქმედება. აუცილებელია, არსებობდეს ხელმისაწვდომი და ეფექტური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში პირი შეძლებს უფლებებში აღდგენას და მიყენებული მატერიალური თუ არამატერიალური ზარალის ანაზღაურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს მიიღებს და მოწყვლადი გახდება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ უკანონო ქმედებების ჩადენის მიმართ.[32]“ ამასთან, „ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შებოჭილია კანონიერების პრინციპით, კონკრეტულად, კანონისმიერი დათქმის პრინციპით, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციაში განმტკიცებულია დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და პირის ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე"[33].

განსახილველ შემთხვევაში, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ გელათის რესტავრაცია-კონსერვაციასა და დროებითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე ყველა პროექტი შექმნა და მოამზადა ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობამ“ (ს/კ 204545652), რაც შეთანხმდა, ჯერ საქართველოს საპატრიარქოსთან, შემდეგ დამტკიცდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. მათ შორის გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ქვედა იარუსების (ეკვდერების) გადახურვის სამუშაოების გასაგრძელებლად შექმნილი პროექტიც. დგინდება, რომ დამტკიცებული პროექტების შესულებას, კერძოდ, სამშენებლო საქმიანობას ახორციელებდა შპს „იკორთა 2007“ (ს/კ 205216327), რომელსაც „საქართველოს მემკვიდრეობასთან“ ერთად, 2008 წლიდან გააჩნდა გელათის სხვადასხვა ნაგებობის საინჟინრო სამუშაოების შესრულების გამოცდილება. რაც შეეხება ამ პროცესში ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ (ს/კ 204426451) მონაწილეობას და მოვალეობების ფარგლებს, ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს შესწავლის შედეგად გამოკვეთილ გარემოებას, რომლის თანახმადაც, დასახელებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდილ პირს გააჩნდა პროექტების დაფინანსებისთვის საერთაშორისო დონორებიდან თანხების მოძიებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიმართ შესრულებული სამუშაოების თაობაზე წერილობითი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება.

შესწავლილი დოკუმენტებით დგინდება, რომ ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“, თავისი მოვალეობებით, კანონის საფუძველზე, წარმოადგენდა ნებართვების მიმღებ სუბიექტს, ახორციელებდა პროცესის ადმინისტრირებას, ახდენდა მაკოორდინირებელ ფუნქციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოსთან მიმართებით პროექტის ავტორი *(ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობა)* და სამუშაოების განმახორციელებელი *(შპს „იკორთა 2007“)* პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშების მომზადების წარდგენის კუთხით. ამაზე მეტყველებს, მათ შორის ცენტრის მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია განხორციელებული პროექტების და მასში მონაწილეობის ხარისხის თაობაზე:

---

[31] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/8/594, 30 სექტემბერი, 2016, საქმე: „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.*

[32] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 2/4/735 , 21 ივლისი, 2017, საქმე: „საქართველოს მოქალაქეები მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.*

[33] *საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე Nბს-95-919 (კ-10)),*

1. 2012-2013 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის წმ. მარინეს ეგვტერისა და სამხრეთ კარიბჭის ფრესკების გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები. დამფინანსებელი: აშშ-ს საელჩო საქართველოში, ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი. ცენტრის როლი: საგრანტო პროექტის შემუშავება. ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება. შემსრულებლები: ეკა პროვალოვას სახ ლაბორატორია „ბეთანია“, სარესტავრაციო ჯგუფი „გორსო“, საინჟინრო ჯგუფი: „იკორთა 2007“ .

2. 2013-2018 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის და მკლავების გადახურვის რეაბილიტაცია. დამფინანსებელი: აშშ-ს ელჩის დიდი გრანტების პროგრამა. ცენტრის როლი: ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება. სარეაბილიტაციო პროექტის ავტორი ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობა“, საინჟინრო/სარეაბილიტაციო სამუშაოები „იკორთა 2007“, ხელნაკეთი კრამიტი ი/მ „გენადი ექიზაშვილი“, ი/მ „მაია გაბადაძე“. ქვის კონსერვაციის სამუშაოები სარესტავრაციო ჯგუფი „გორსო“, „1+1“, „ხელოვნების ნიმუშთა კვლევის და კონსერვაციის ცენტრი“.

3. 2015-2017 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის ყელის და მკლავების ქვის კონსერვაცია. დამფინანსებელი: მუნიციპალური განვითარების ფონდი / მსოფლიო ბანკი. ცენტრის როლი: ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება, საკონსერვაციო პროექტის ავტორი „ხელოვნების ნიმუშთა კვლევის და კონსერვაციის ცენტრი“. სარესტავრაციო სამუშაოების შემსრულებლები: „გორსო“, „1+1“, გუმბათის ყელის გასამაგრებელი სამუშაოების არქიტექტურული პროექტის ავტორი: ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობა“, საინჟინრო/ სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი: „იკორთა 2007“.

4. 2018-2019 - გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლის და სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია. დამფინანსებელი: მუნიციპალური განვითარების ფონდი / მსოფლიო ბანკი. ცენტრის როლი: საგრანტო ფონდების მოძიება, პროექტის ადმინისტრირება. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობა“. შემსრულებლები: კონტრაქტების საფუძველზე - ზემოთხსენებული ფირმების და ორგანიზაციებიდან ინდივიდუალური სპეციალისტები: პროექტის საავტორო ზედამხედველობა: კახა ტრაპაიძე, (ააიპ „საქართველოს მემკვიდრეობა“), საინჟინრო სამუშაოების ხელმძღვანელი/კონსულტანტი/ზედამხედველი გივი ხურცილავა, (შპს „იკორთა 2007“), საინჟინრო სამუშაოების ტექნიკური შემსრულებელი - ტარიელ კერვალიშვილი (შპს „იკორთა 2007“). ხელნაკეთი კრამიტი: შპს „პრიმუმი“. კარნიზების ქვის საკონსერვაციო სამუშაოების ჯგუფის ხელმძღვანელი: სანდრო რუბაშვილი („გორსო“), ჩრდილოეთ მკლავის ფრესკების გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები - ალექსანდრე რუბაშვილი („გორსო“), ნანა კუპრაშვილი („ხელოვნების ნიმუშთა კვლევის და კონსერვაციის ცენტრი“).

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის თანახმად, *ამ კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება,* ხოლო კანონის მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, *კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მუნიციპალიტეტის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები.*

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“, „გ“, „ე“ და „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, *საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სამინისტრო: ზედამხედველობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შეიმუშავებს* და

წარმართავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, დაცვას, პოპულარიზაციას და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას, ზედამხედველობს ძეგლზე წარმოებულ და არქეოლოგიურ სამუშაოებს და ქმნის სამუშაოების მიმღებ კომისიებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად აჩერებს ყველა სახის საქმიანობას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კულტურულ მემკვიდრეობას.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, *აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე,* ხოლო ამავე კანონის 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, *სარეაბილიტაციო სამუშაოებია ძეგლის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სამუშაოების ერთობლიობა.*

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ელი, მე-6, და მე-9 პუნქტის თანახმად, *ძეგლზე ამ კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრული სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით, ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე უფლებამოსილია მხოლოდ ამ სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. ძეგლზე სამუშაოებსა და არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული სერტიფიცირების წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.*

ორგანიზაცია შესწავლის ფარგლებში მიდის დასკვნამდე, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ არაჯეროვანი და არასაკმარისი ყურადღება დაუთმო გელათის ძეგლის/ტაძრის ირგვლივ სამუშაოების შემოწმებას, საპროექტო წინადადებების მიღება და დამტკიცება ხდებოდა ადგილზე განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, სათანადო განხილვისა და შემოწმების გარეშე. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ობიექტზე დროებითი გადახურვის სამუშაოები ხორციელდებოდა ა(ა)იპ ,,საქართველოს მემკვიდრეობის'' მიერ შედგენილი, არაერთხელ კორექტირებული, სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით და თითოეული ცვლილება, ასევე შეთანხმებული იყო სააგენტოსთან. შევნიშნავთ, რომ სააგენტოს 2020 წლის 9 ნოემბრის გაფრთხილების წერილში მითითებულ ხარვეზებს შორის აღნიშნული იყო, რომ თითქოს წვიმსადინარის ძაბრები პროექტით უნდა მოქცეულიყო დროებითი გადახურვის კუთხეებში, თუმცა ცენტრალურ ნაწილში იქნა მოწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ პროექტში მართლაც დროებითი გადახურვის კუთხეშია ასახული ძაბრები, სამუშაოების მიმდინარეობისას საჭირო გახდა პროექტის ცვლილება და ძაბრების მოწყობა განხორციელდა შეცვლილი პროექტის შესაბამისად. გარდა აღნიშნულისა, ერთ-ერთი პრეტენზიის თანახმად, ხარაჩოს დგარები უნდა შენარჩუნებული პროექტის განხორციელების მანძილზე სრულად, თუმცა შესრულებული სამუშაოების შესაბამისად ხდება ხარაჩოების ნაწილის დემონტაჟი და სხვა ადგილებში მათი მონტაჟი. რაც შეეხება კიბეებს და ბილიკის მოწყობას, საქმეში წარმოდგენილია წერილობითი მტკიცებულება, რომლის თანახმადაც შპს ,,იკორთა 2007''-ის წარმომადგენელი ითხოვდა, რომ წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე, მონიტორინგის ჩასატარებლად უზრუნველყოფდა დროებითი კიბეების და ბილიკების მოწყობას.

როგორც 2021 წლის 22 მარტს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მოწმის სახით გამოკითხვაზე, ა(ა)იპ ,,საქართველოს მემკვიდრეობის'' თავმჯდომარემ, პროექტის ავტორმა კახა ტრაპაიძემ განაცხადა,

დროებითი გადახურვის ზედა კრამიტზე მოწყობა განხორციელდა ყველა მხარის ერთობლივი შეთანხმებით. რაც შეეხება ლურჯ ტენტს, წარმოდგენილია სააგენტოს წერილები, რომლის მიხედვითაც ისინი ითხოვნდნენ ლურჯი ტენტის დაუყონებლივ გამოყენებას. ასევე, თვით პროექტის ავტორის მიერ დადასტურდა, რომ წყალგამტარი მილების მასალები პროექტით არ იყო გათვალისწინებული, ქვედა ნიშნული კი უნდა ყოფილიყო სარინელის სიმაღლეზე, რაც პროექტის შესაბამისად განხორციელდა, თუმცა სააგენტო რატომღაც გამოთქვამდა პრეტენზიას, რომ ქვედა ნიშნული მაინცდამაინც მიწის ზედაპირის დონეზე უნდა ყოფილიყო დაწეული. ამასთან, გელათის ტაძრის დროებით გადახურვას ამჟამად ახორციელებს კომპანია ,,ბაგინეთი +, სამუშაოები ხორციელდება ახალი პროექტით, რაც ადასტურებს, რომ ის პროექტი, რომლის მიხედვითაც შესრულდა სამუშაო, არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. მეტიც, სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით, არ გამოცხადებულა ტენდერი, არ გამოყოფილა ხარჯები, რეალურად სამუშაო შეასრულეს სააგენტოს თხოვნის საფუძველზე, ნებართვის გაცემა კი იყო ფორმალური საკითხი. თვით პროექტის არაერთგზის ცვლილებაც მიანიშნებს, რომ სააგენტო გადაწყვეტილებას იღებდა ნაჩქარევად.

აღნიშნულზე მეტყველებს შპს „იკორთა 2007“-ის მიერ სასამართლოში წარდგენილი 2021 წლის 24 მარტის განმარტებაც, რომლის მიხედვითაც, „დაახლოებით 2015-2016 წელს, განხორციელდა გელათის საკათედრო ტაძრის კრამიტით გადახურვა. კრამიტი თავისი მოცულობით არის ძველებური ტექნოლოგია, რომელიც თუნუქის გადახურვისგან განსხვავებით საჭიროებს პერიოდულ მოვლა-პატრონობის ღონისძიებას (ხავსისგან გაწმენდა, გადალაგება, გასწორება). სააგენტოს 5 წლის განმავლობაში, არც ერთხელ არ განუხორციელებია ხსენებული ღონისძიება, რის შედეგადაც, მივიღეთ ის, რომ 2020 წლის ზაფხულში გელათში წვიმის წყალი ჩავიდა“[34]. ამავე წერილით აღნიშნულია, რომ **რადგანაც სამუშაოები სწრაფად უნდა დასრულებულიყო, შპს „იკორთა 2007“ და „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ დაჩქარებულად მოქმედებდნენ დროებითი გადახურვის უზრუნველსაყოფად, არქიტექტურულ პროექტს კი უკვე შესრულებული სამუშაოების შემდეგ ათანხმებდა სააგენტო.**

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან სწორედ შესრულებული სამუშაოების შემდეგ პროექტების შეთანხმების პრაქტიკა არაკეთილსინდისიერად იქნა გამოყენებული თავად პროცესში მონაწილე პარტნიორი ორგანიზაციების მიმართ. კერძოდ, საქმის მასალებით დგინდება, რომ 2020 წლის 13 ნოემბერს ა(ა)იპ ,,ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა'' სააგენტოში წარადგინა ანგარიში სამუშაოების დამთავრების შესახებ, 2020 წლის 23 ნოემბერს კი წარადგინა წერილი, რომელსაც ერთვოდა შპს ,,იკორთა 2007-ის'' წერილი შესრულებული სამუშაოების შესახებ და ნახაზები. წერილის ავტორი ითხოვდა ამ ნახაზების მიხედვით შესრულებული სამუშაო ჩათვლილიყო პროექტის მიხედვით შესრულებულ სამუშაოდ, თუმცა პროექტი, რომლის საფუძველზეც ნებართვა იყო გაცემული, განსხვავდებოდა ახალი ნახაზებისგან. **ნაცვლად იმისა, რომ სააგენტოს დაუყონებლივ შეემოწმებინა სამუშაოები და წამოეყენებინა პრეტენზია, თითქმის ორი თვე არ გადაამოწმა ტაძრის მდგომარეობა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ადგილზე ვიზიტის შემდეგ გამოითქვა პრეტენზიები,** 2021 წლის 18 იანვარს შემოწმდა ძეგლის მდგომარეობა და დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, სამუშაოების შეუსაბამოდ განხორციელების დარღვევად ჩათვლის გამო, მიღებული იქნა შპს „იკორთა 2007“-ისა და ა(ა)პ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დაჯარიმებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ამდენად, **ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობები, რომელიც საფუძვლად დაედო სააგენტოს მოქმედებას და გადაწყვეტილებას, რაიმე ფორმით არ ქმნიდა სამართალდარღვევის ოქმის გამოცემის ფომალურ საფუძველს და წარმოადგენდა თავდაცვით მმართველობით ღონისძიებას. სააგენტო, მიუხედავად პასუხისმგებლობის ტვირთის პარტნიორ ორგანიზაციებზე გადატანისა, მაინც რჩება იმ პასუხისმგებელ სუბიექტად, რომელიც სადავო პერიოდში განხორციელებული სამუშაოებზე ზედამხედველ უწყებად გვევლინება.** „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **მას არ შეუჩერებია რომელიმე პარტნიორი ორგანიზაციის საქმიანობა ან უფლებამოსილება ობიექტზე, არ გააუქმებია ნებართვა, არ შეუქმნია**

[34] *2021 წლის 24 მარტის შპს „იკორთა 2007“-ის წარმომადგენლის ლაშა მჭედლიძის საპაექრო სიტყვა*

შესაბამისი კომისია, რომელიც საფრთხედ შეაფასებდა კულტურული მემკვიდრეობის წინაშე წარმოებულ სამუშაოებს.

შესაბამისად, ორგანიზაცია სრულად იზიარებს საქართველოს კულტურის მინისტრ ქალბატონ თეა წულუკიანის 2021 წლის 22 მარტს გაკეთებულ საჯარო განცხადებას, რითაც გელათთან დაკავშირებულ მოვლენებთან მიმართებით, ცალსახად გამოკვეთა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობა. ორგანიზაციას დაშვებული შეცდომების გასწორებად მიაჩნია სამინისტროს მხრიდან მიღებული უახლესი გადაწყვეტილებებიც - *საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სათანადო ხარისხით დაცვის მიზნით, შეიქმნას ოსტატთა რეესტრი, 2022 წლიდან მოხდეს მათი სერტიფიცირების სისტემის ამუშავება, გელათის წინაშე არსებული საკითხების შესწავლის მიზნით მოწვეული იქნეს საერთაშორისო ექსპერტები.*

ამდენად, სააგენტოს მხრიდან დაფიქსირებული ნება - *თუ პროექტის კორექტირების აუცილებლობა იყო საჭირო, სამუშაოების მწარმოებელს კორექტირებული პროექტი უნდა წარედგინა სამუშაოების დასრულებამდე და პროექტის კორექტირების შესახებ უნდა ემსჯელა საბჭოს, საპატრიარქოს საბჭოს დადებითი დასკვნის შემდეგ* - დასახელებული ფაქტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ლახავს კეთილსინდისიერი პარტნიორების კანონიერ ინტერესებს. მეტიც, იგი კონფლიქტში მოდის კანონთან ***(საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას)*** და სახელმწიფოს წარმოაჩენს არასაიმედო მოკავშირედ. სააგენტოს ასეთი ქმედებების და მიდგომები, არღვევს და ლახავს კეთილსინდისიერების პრინციპს, რომლის დაცვაც სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა.

სახელმწიფოს კეთილსინდისიერების საკითხის გამოკვეთას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მაშინაც, როდესაც ცალსახად უნდა დადგიდნეს 2021 წლის 20 იანვარს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის #00095 მართლზომიერება და კანონიერება, რითაც ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ და შპს „იკორთა 2007“, პროექტისა და სანებართვო პირობების დარღვევის გამო, 15 000 ათასი ლარით დაჯარიმდნენ. ორგანიზაცია, სრულად იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ადმინისტრაციული აქტი შედგენილია კანონდარღვევით და ნაჩქარევად, რასაც წინ უსწრებდა სააგენტოს მიმართ საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის დასაბუთებული კრიტიკა. სამართალდარღვევის ოქმის გამოცემის შემდგომ შექმნილია კიდევ უფრო მეტი სამართლებრივი კაზუისტიკა. კერძოდ, ოქმი შედგენილია ორი დამოუკიდებელი იურიდიული პირის მიმართ, რომლებსაც ერთმანეთთან არანაირი სამართლებრივი კავშირი არ გააჩნიათ და არც რაიმე პასუხისმგებლობას იზიარებენ ერთობლივად. შპს ,,იკორთა 2007''-ის მიმართ კანონდარღვევით იქნა გაცემული ნებართვა, რადგან მას არ მიუმართავს განცხადებით სააგენტოსათვის. შესაბამისად, ვერ გახდებოდა სანებართვო პირობების დამრღვევი, ხოლო როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, დროებითი გადახურვის სამუშაოები ხორციელდებოდა ა(ა)იპ ,,საქართველოს მემკვიდრეობის'' მიერ შედგენილი და არა ერთხელ კორექტირებული, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით. თითოეული ცვლილება შეთანხმებული იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან. შესაბამისად, ა(ა)იპ ,,ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის'' პასუხისმგებლობის საკითხი არ იკვეთება, ვინაიდან ორგანიზაცია უშუალოდ არ მონაწილებდა არც პროექტის შედგენაში, არც დამტკიცებაში და არც სამშენებლო სამუშაოებში.

როგორც უკვე აღინიშნა - ვინაიდან არსებობდა ფრესკების დაზიანების საშიშროება, ტენდერის გამოცხადებას კი სჭირდებოდა დრო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების მოთხოვნით და მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ძეგლის გადარჩენის მიზნით, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს'', როგორც ნებართვის მიმღებს - მოსთხოვა, სასწრაფოდ დაწყებულიყო მუშაობა დროებითი გადახურვის მოსაწყობად. არქიტექტურულ პროექტს კი უკვე

შესრულებული სამუშაოს შემდეგ ათანხმებდა სააგენტო, რადგან არსებობდა ძეგლის დაზიანების საშიშროება. შპს ,,იკორთა 2017''-ს სამუშაოების შესრულებაში არც ერთი თეთრი არ აუღია, პირიქით დახარჯა 50000 ლარზე მეტი. ამდენად, მათი მხრიდან სამუშაოები შესრულდა არა რაიმე სახის კონტრაქტის, არამედ კეთილი ნების საფუძველზე. სანებართვო მოწმობა არ არის გაცემული მათი განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, იგი არც ნებართვის მიმღები სუბიექტია და არც ქვეკონტრაქტორი. საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების და არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, ამ კანონის 48-ე მუხლით, უნდა არსებობდეს ნებართვის მიმღების განცხადება, რაც შპს „იკორთა 2007'-ის შემთხვევაში, სახეზე არაა. შესაბამისად, ნებართვის მიმღებია ა(ა)იპ ,,ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი'', თუმცა დასახელებული ორგანიზაცია არ არის სამუშაოების მწარმოებელი და ვერც პასუხისმგებელი იქნება ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

იმ უფლებამოსილების ფარგლებში, ამასთან, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" კანონის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ა(ა)იპ ,,ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი'' კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მუდმივად აწვდიდა სამუშაოთა შესრულების შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს. **შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ნებართვის მიმღებად, კანონით დადგენილი წესისა და ნების გარეშე, არ უნდა განსაზღვრულიყო შპს „იკორთა 2007", კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ასეთი დაშვებით თავად დაარღვია კანონი, საქმის მასალებით, შპს „იკორთა 2007" არც ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის" ქვეკონტრაქტორი და ხელშემკრელი მხარეა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, სამართალდარღვევის ფაქტის არ არსებობის გამო, არ უნდა დაეწყო.**

მიუხედავად უკანონო ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული ოქმით დაჯარიმებული სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობებისა, ყურადღებას იპყრობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 16 აპრილის დადგენილებით შემოთავაზებული სინამდვილე. **ორგანიზაცია დაინტერესდა სააგენტოსა და კერძო იურიდიულ ორგანიზაციებს შორის კავშირების, თანამშრომლობისა და ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით.** საკითხის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ წლების მანძილზე, სააგენტოსთან ორგანულად დაკავშირებულია ის ორგანიზაციები, რომლებმაც ა) გელათის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი მოამზადეს, ბ) გელათის რესტავრაცია და ძეგლზე სამუშაოები აწარმოეს, რასაც მოჰყვა ხარვეზები, გ) გელათის ძეგლზე სამუშაოების აგრძელებენ უკვე გამოვლენილ ხარვეზებზე პასუხისმგებელი პირები, თუმცა სხვა იურიდიული პირის ქვეშ. კერძოდ,

- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მიხედვით, ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობა" (ს/კ 204545652) დაფუძნებილია 2007 წელს და შედგება გამგეობისგან: **კახა ტრაპაიძე** (თავმჯდომარე), **გივი ყიფიანი** (წევრი), **ქეთევან ტრაპაიძე** (წევრი), **მაია ხაჩიძე** (წევრი), **ამირან ანანიაშვილი** (წევრი).

- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მიხედვით, შპს „იკორთა 2007" (ს/კ 205216327) დაფუძნებილია 2007 წელს და შედგება პარტნიორებისაგან: **გივი ხურცილავა** (დირექტორი, 33.3% წილის მმართველი), **ბესიკ ჭკუასელი** (33.3% წილის მმართველი), **ტარიელ კერვალიშვილი** (33.4% წილის მმართველი).

- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მიხედვით, შპს „ბაგინეთი+" (ს/კ 205284495) დაფუძნებილია 2009 წელს და შედგება გამგეობისგან: **გივი ყიფიანი** (თავმჯდომარე), **კახა ტრაპაიძე** (წევრი), **გურამ იაკობაშვილი** (წევრი).

თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის მონაცემთა თანახმად, დადგენილია, რომ კახა ტრაპაიძე 2001-2004 წლის 1 ივნისამდე მუშაობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე, 2005 წლიდან კი იჭერდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელ დირექტორის თანამდებობას და საქართველოს წარმოადგენდა ევროპის საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტში. მასთან ერთად, მაია ხაჩიძე 2002-2011 წლებში საქმიანობდა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, 2002-2004 წლებში საქართველოს კულტურის სამინისტროს ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტში, 2004-2005 წლებში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, 2005-2006 წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციულ სამსახურში განვითარების მენეჯერად, ხოლო 2006 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის პროგრამების მენეჯერი პოზიციაზე. ამდენად, გამოკვეთილია ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობასა“ და შპს „ბაგინეთი+“-ს შორის სტრუქტურული, ორგანიზაციული და სამართლებრივი კავშირი და საერთო ინტერესები, მათი ერთობლივი კონტაქტები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან, საქმიანობის დღევანდელი სფეროს გათვალისწინებით, მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობის ბუნებრივი უპირატესობა.

რაც შეეხება შპს „იკორთა 2007“-ს, უნდა ვისუაბროთ დასახელებულ ორგანიზაციებთან პერსონიფიცირებულ და პროფესიულ ურთიერთობებსა და სააგენტოსთან ერთად, წლების მანძილზე, განხორციელებულ არაერთ პროექტეზე. კერძოდ, *სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე* შპს „იკორთა 2007“-ის კორპორაციულ მონაცემებზე, შესრულებულ და მიმდინარე სამუშაოებზე დაყრდნობით, დგინდება, რომ *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით,* კომპანიამ 2020 წელს განახორციელა *„ტყიბულის მუნიციპალიტეტში მდებარე ეროვნული კატეგორიის მქონე მსოფლიო კულტურული მემკვიდერეობის ნუსხაში დაცული გელათის სამონასტრო კომპლექსის გალავნის დასავლეთის ცენტრალური მონაკვეთის ჩამონგრეული ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები* (ხელშეკრულება №3/311)“, *„ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყინწვისი, ყინწვისის კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა* (საპროექტო სამუშაოები) (ხელშეკრულება №3/206ტ)“, 2019 წელს - *„გელათის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები* (ხელშეკრულება №3/341 ტ)“, *„ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფ. ომალო, კესელოს ციხის აღდგენითი სამუშაოები* (ხელშეკრულება № 3/414 ტ)“, *კასპის მუნიციპალიტეტი, რკონის ციხის კომპლექსის რეაბილიტაციის და ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება* (ხელშეკრულება №3/282კ) (საპროექტო სამუშაოები)“, 2014 წელს - *გელათის სამონასტრო კომპლექსის (ტყიბულის მუნიციპალიტეტი), დავითის კარიბჭის აღმოსავლეთის კედლის დაცვითი სამუშაოების და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ბაქნის და კიბის სარესტავრაიო-სარეაბილიტაციო სამუშაოები* (ხელშეკრულება №3/278 ტ). ამასთან, სხვადასხვა წლებში კომპანია, სააგენტოს დაკვეთასთან ერთად, ახორციელებდა სახელმწიფოს სხვა მოგებულ ტენდერებსაც.

ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, თვალსაჩინოა, რომ შპს „იკორთა 2007“ და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“, სახელშეკრულებლო ურთიერთობის ფარგლებში, ახორციელებდნენ შემდეგ პროექტებს: გელათის ღვთისმშობლის ტაძარის წმ. მარინეს ეგვტერზე არქიტექტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები (*02.12.12 – 21.11.2012 წ, აშშ ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ეგიდით),* გელათის სამონასტრო კომპლექსი, ღვთისმშობლის ტაძარზე არქიტექტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები (*01.10.13 – 25.12.2013 წ, აშშ ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ეგიდით),* გელათის ღვთისმშობლის ტაძარზე არქიტექტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები (*01.06.15 – 31.12.2016 წ, მსოფლიო ბანკისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის ეგიდით),* გელათის სამონასტრო კომპლექსი, ღვთისმშობლის ტაძარზე არქიტექტურული სარეაბილიტაციო სამუშაოები (*01.06.15 – 30.11.2017 წ, აშშ ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდისა და მსოფილო ბანკის ეგიდით).* გელათის სამონასტრო კომპლექსი, ღვთისმშობლის ტაძარზე არქიტექტურული სარეაბილიტაციო სამუშაოები (*01.01.16 – 31.12.2016 წ, აშშ ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდისა გრანტის ეგიდით).* გელათის სამონასტრო კომპლექსი, ღვთისმშობლის ტაძარზე არქიტექტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები (*01.01.17 – 30.11.2017 წ, აშშ ელჩის კულტურული მემკვიდრეობის*

ფონდისა გრანტის ეგიდით), ხოლო, როგორც უკვე ზემოთ აღნიშნა, 2020-2019 წლებში, შპს „იკორთა 2007“ გელათის ძეგლზე სამუშაოებს ახორციელებდა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოსთან სახელშეკრულებლო ურთიერთობის ფარგლებში, სააგენტოსთან შეთანხმებით და არა - ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრთან“ სახელშეკრულებლო ურთიერთობის საფუძველზე, რაც იურიდიულ საფუძვლებს აცლის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 16 აპრილის დადგენილებით მსჯელობას, სადაც შპს „იკორთა 2007“ მიჩნეულია ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ ქვეკონტრაქტორად.

ამდენად, **არ არსებობს არავითარი სამართლებრივი საფუძველი დავასკვნათ, რომ შპს „იკორთა 2007“ და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“, სადავო სამართალურთიერთობის პროცესში მოქმედებდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ან/და „იკორთა 2007“ წარმოადგენდა ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ ქვეკონტრაქტორ კომპანიას.** სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ***(თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი)*** საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა ***(თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს)*** და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის საწინააღმდეგოდ ***(ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან)*** განმარტა ის გარემოება, რომ სააგენტოს მიმართ ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ მხრიდან წარდგენილ 2020 წლის 31 აგვისტოს წერილში, შპს „იკორთა 2007“ მოხსენიებული იქნა, როგორც ქვეკონტრაქტორი და სამართალწარმოების პროცესში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად ***(საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის აღიარება მხარეს შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან ამ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს. თუ აღიარება წარმოდგენილია წერილობითი ფორმით, იგი დაერთვის საქმეს. ზეპირად გაკეთებული აღიარება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში)*** მითითება იმის თაობაზე, რომ ტერმინის გამოყენება გამოწვეული იქნა დასახელებულ ორგანიზაციებს შორის წარსულში ერთობლივად განხორციელებული პროექტების გამოცდილების წარმოსაჩენად და არა - სადავო ურთიერთობებში სახელშეკრულებლო ურთიერთობების დასადასტურებლად, უსაფუძვლოდ არ მიიჩნია საკმარისს მტკიცებულებად.

ორგანიზაცია ფიქრობს, რომ შედეგად, საქმეზე დადგა არასწორი გადაწყვეტილება. თუ „იკორთა 2007“-ის მიმართ დადგებოდა სამართალდარღვევის შემთხვევა, კომპანია ვეღარ შეძლებდა საქმიანობის გაგრძელებს ვერც ერთ შემდგომ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-10 მუხლის თანახმად, *ამ მუხლით განსაზღვრული ნებართვები არ გაიცემა, თუ სამუშაოების ჩატარებაზე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება.* შესაბამისად, ამ საშიშროებიდან თავის არიდების მიზნით, კომპანიის მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება. **არის თუ არა სასამართლოს ასეთი სადავო გადაწყვეტილება სააგენტოსთან შპს „იკორთა 2007“-ის მესვეურთა არაფორმალური დიალოგის შედეგი, ორგანიზაციის მხრიდან იქნება დაუსაბუთებელი მსჯელობა, მაგრამ ფაქტები და ფაქტებზე არსებული სამართლებრივი შეფასებები მიუთითებს, რომ მაღალი ალბათობით, განხორციელებულია შერჩევითი მართლმსაჯულება, რაც არ პასუხობს საზოგადოების ინტერესს და საქმეზე კანონის უზენაესობის პრინციპებს. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთქმედებისა და ანალიზის საფუძველზე, ორგანიზაცია მიდის დასკვნამდე, რომ შესაძლებელია დასახელებული კომპანიის მიმართ სამართალდარღვევაში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ჰქონდეს მიზანმიმართული ინტერესი, არ გამომდინარეობდეს ფაქტების ობიექტური შეფასებიდან და სახელმწიფოსთან ერთად, სასამართლოს საშუალებით, ემსახურებოდეს დაფარული გარიგებების შენარჩუნებას და მომავალი საქმიანობის დაცვას.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის 1-ელი, მე-3 ნაწილის თანახმად, *ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.*

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1]-ე 1-ელი ნაწილის თანახმად, *ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.*

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის თანახმად, *ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.*

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 16 აპრილის დადგენილება დაუსაბუთებელია, სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი კი - კანონსაწინააღმდეგო. კერძოდ, ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს საკითხზე შემდეგ არგუმენტებს. დადგენილია, რომ სააგენტომ ნებართვა გასცა ორი დამოუკიდებელი იურიდიული პირის მიმართ და სამართალდარღვევის ოქმიც შეადგინა მათ მიმართ. როგორც უკვე აღინიშნა, არც შპს „იკორთა 2007“-სა და არც ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“, განსახილველ შემთხვევაში, ერთმანეთთან არავითარი სამართლებრივი კავშირი არ გააჩნდათ და ისინი სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც არ იზიარებდნენ. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ნებართვა შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ გაიცა კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით, დარღვევით, თუმცა კანონდარღვევით შედგენილი ადმინისტრაციული აქტი, სასამართლომ კანონსაწინააღმდეგოდ არ მიიჩნია და ბათილად არ ცნო, რითაც სრულიად გაუგებარი შემთხვევა შეიქმნა. იმის მიუხედავად, თუ რომელი იურიდიული პირის ქმედების შედეგად შეიძლება დამდგარიყო სამართალდარღვევის ფაქტი, ადმინისტრაციული წარმოების დროს, საკითხი სამართლებრივად გამოკვლეული და შეფასებული არ ყოფილა. ადმინისტრაციული ოქმი ამ გარემოებათა კვლევის შედეგად მიღებული აქტი არ არის, კანონის თანახმად კი, *დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.* უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ სააგენტომ ორი დამოუკიდებელი სუბიექტის მიმართ გასცა ნებართვა, იმის მუხედავად, რა კანონიერი საფუძველი გააჩნდა ნებართვის გაცემას შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ. ფაქტია, სახელმწიფოს მოქმედებით განისაზღვრა ის ვალდებულებები, რომელიც ცალკ-ცალკე - შპს „იკორთა 2007“-სა და ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ უნდა წარმოშობოდა სახელმწიფოსთან ნაკისრი მოვალეობების ფარგლებში.

ამდენად, ორგანიზაცია იზიარებს დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ **როდესაც სასამართლო ერთი პირის მიმართ ადმინისტრაციულ წარმოებას წყვეტს, გაუგებარია, რა წარმოებაზეა საუბარი, რადგან გასაჩივრებული სამართალდარღვევის ოქმით, დადგენილია ორი იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. შესაბამისად, აღნიშნული ოქმი ან ძალაში უნდა დარჩენილიყო ორივე იურიდიული პირის მიმართ, ან სასამართლოს მიერ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.** ამასთან, სადავო აქტს უკანონოდ აქცევს ის გარემოებაც, რომ სააგენტომ სასამართლო სხდომაზე ვერ განმარტა, თუ რატომ გაიცა სანებართვო მოწმობა შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ, როცა მას ამის უფლებამოსილება არ გააჩნდა. **სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთება შპს „იკორთა 2007“-ის ბრალეულობა ჩადენილ სამართალდარღვევაში, რადგან მას არანაირი პასუხისმგებლობა**

შესასრულებელი სამუშაოს შესრულებაზე არ აუღია და წარმოადგენდა მხოლოდ ქვეკონტრაქტორს, რაც საქმეში არსებული მასალებით დაუსაბუთებელი მსჯელობაა. პირიქით, შპს „იკორთა 2007“-ის პასუხისმგებლობა შესასრულებელი სამუშაოების შესრულებაზე ნამდვილია, ხოლო სასამართლოს არ აქვს დასაბუთებული არგუმენტი, რომელიც უტყუარად დაადგენდა, რომ შპს „იკორთა 2007“ ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ ქვეკონტრაქტორია, რამაც საქმეზე დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტარქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას'' (იხ. სუსგ #1529 -1443 -2012, 09.12.2013 წ.; ას-502-476-2015, 24.12.2015 წ.).

განსახილველ შემთხვევაში, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ადმინისტრაციული ოქმის შედგენით და სასამართლო განხილვის ეტაპზე, ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის დაძლევა და სადავო გარემოებების მიმართ იმ ფაქტების ჩვენება და წარმოდგენა, რომელიც ასაბუთებს დავის ისტორიაში მონაწილე მხარეების როლს, მოქმედებების ფარგლებს, მიზნებს, მიღებული გადაწყვეტილებების მართლზომიერებისა და კანონიერების საზღვრებს. „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. "ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ", #7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30) (იხ. სუსგ, საქმე N182-182-2018). ამდენად, წინამდებარე დავის სამართლიანად გადაწყვეტისთვის, ქუთაისის სააპელაცო სასამართლოს რჩება საჭირო არგუმენტები და სამართლებრივი დასაბუთება, რათა არ მოხდეს უკანონო გადაწყვეტილების მიღება და განხორციელდეს ჯეროვანი კონტროლი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებასა და კანონიერებაზე.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნები მით უფრო გასაკრიტიკებელია, რადგანაც სასამართლომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაუშვა დისკრიმინაციული მოპყრობა და დაარღვია მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. კერძოდ, ვინაიდან სააგენტოს მხრიდან დადგენილია, რომ ნებართვის მიმღები ორი დამოუკდიებელი იურიდიული პირია, გაუგებარია, რატომ თავისუფლდება ერთი მხარე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და რატომ არ თავისუფლდება მეორე მხარე იმავე საფუძვლით, რომელითაც გათავისუფლებულია შპს „იკორთა 2007“. შესაბამისად, ასეთი დაშვებით, სასამართლო, ნებსით თუ უნებლიეთ, დისკრიმინაციულად ეპყრობა მხარეებს, რაც დაუშვებელია. მოსაზრება, როდესაც შპს „იკორთა 2007“-ს არ მიუმართავს ნებართვის მისაღებად და უნდა გათავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისგან - არარელევანტურია. განსახილველ შემთხვევაში, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სააპელაციო წესით, არც შპს „იკორთა 2007“-ს და არც სააგენტოს, არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ამდენად, თუკი სააპელაციო სასამართლო არ შეცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, უცვლელად დატოვებს ან აქტს ან შპს „იკორთა

2007“-ის პასუხისმგებლობისგან ამორიცხვის ფაქტს, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ მიმართ, სასამართლოს მოქმედებას ექნება დისკრიმინაციული ხასიათი.
ორგანიზაციამ საკითხზე კომპეტენტური აზრი სთხოვა ევროსასამართლოს ექსპერტს ქალბატონ **ლია მუხაშავრიას,** რათა ინსტიტუციური წარმოდგენა შექმნილიყო სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე, რაც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან მიმართებით არსებობს. ლია მუხაშავრია ფიქრობს, რომ **თანამედროვე საქართველოში არ არსებობს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის რეკონსტრუქციის ჯეროვნად განხორციელების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია.** *კვლევის ფარგლებში ლია მუხაშავრიას პოზიციას მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ:*

„გელათის ტაძრის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი, სამართლებრივი და სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოვლინდა: სისტემური სამართლებრივი პრობლემები სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის, გელათის მოვლის ვალდებულების განხორციელების თვალსაზრისით, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა გელათის რეკონსტრუქციის პროცესში დაშვებული არსებითი ხასიათის შეცდომები. თანამედროვე საქართველოში არ არსებობს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის რეკონსტრუქციის ჯეროვნად განხორციელების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია.

სახელმწიფოს ვალდებულებას - მოვლა-პატრონობა გაუწიოს მისი კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს - არ გააჩნია სამართლებრივი რეგულირების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციურ, დაბალანსებულ, ურთიერთ გაწონასწორებულ საქმიანობას ამ მიზნის მისაღწევად. მოქმედი კანონმდებლობით, ძეგლების მოვლა-პატრონობის უფლებამოსილება ეკისრება კულტურის სამინისტროსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც შეიქმნა და მოქმედებს კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე. დებულება განსაზღვრავს სააგენტოს დანიშნულებას, ფუნქციებს და საქმიანობას. დებულების თანახმად, სააგენტოს მიზნები და ამოცანებია: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლებისა და ობიექტის დაცვა, მოვლა-პატრონობა, სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვა და პოპულარიზაცია; სამეცნიერო-კველვითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება.

ამ მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობის განხორციელებისთვის სააგენტოს მინიჭებული აქვს ყველა უფლება, მათ შორის: „..ობიექტებზე ჩასატარებელი კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების მეთოდოლოგიური ექსპერტიზა, ძეგლების დაცვისა და კონსერვაციის პროგრამებისა და დოკუმენტაციის შემუშავება, ძეგლების შემოწმება და სამართალდარღვევათა ფაქტების სამინისტროსთვის შეტყობინება რეაგირებისათვის, მეცნიერულად შეისწავლოს კონკრეტული ძეგლები და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტები. მათი კვლევისა და რეაბილიტაციის საკითხებთან დაკავშირებით შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები და პროექტები, შეადგინოს კონკრეტული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო პროექტი და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მისი განხორციელება, ძეგლზე აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები.“ ამრიგად, სააგენტო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების მიმართ უფლებამოსილია განახორციელოს რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის და სხვა სამუშაოების პროექტირება, მოახდინოს აღნიშნული პროექტების დამტკიცება, დამტკიცებული პროექტების განხორციელება, შესრულებული სამუშაოების შემოწმება და კონტროლი, ასევე სამართალდარღვევათა ფაქტების სამინისტროსთვის შეტყობინება რეაგირებისათვის. იურიდიულად ეს ნიშნავს, რომ პროექტირების ეტაპიდან დაწყებული სამუშაოების დასრულებამდე და ამ სამუშაოების კონტროლი ყველა ეტაპზე არის სააგენტოს კომპეტენცია მისი მხრიდან ყოველგვარი ანგარიშვალდებულების გარეშე და ინტერესთა სრული კონფლიქტის პირობებში, მხოლოდ და მხოლოდ სამინისტროსადმი ანგარიშვალდებულებით.

ვფიქრობთ, უფლებამოსილების ამგვარი კონცენტრაცია ერთი სააგენტოს ხელში, გახდა კიდეც გელათის რეკონსტრუქციის პროცესის უკონტროლობისა და უმართებულობის უმთავრესი მიზეზი. მიუხედავად იმისა, როგორ განვითარდება გელათის რეკონსტრუქცია, რეგულირების სფეროს სათანადო სამართლებრივი დაბალანსებისა და შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების გარეშე, ვფიქრობთ, მსგავსი პრობლემა მომავალში სხვა ძეგლთან დაკავშირებითაც შეიძლება წარმოიშვას, როგორც სააგენტოს არასათანადო მენეჯმენტისა და კომპეტენციის შედეგი.

გამოვლენილ სისტემურ სამართლებრივ ხარვეზს მივყავართ დასკვნამდე, რომ თუკი ძეგლის მოვლა-პატრონობის საქმე არ იქნება გადანაწილებული რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს ხელში, ან თუნდაც ერთი იურიდიული პირის ქვეშ არ მოხდება ძეგლის მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი ყველა ეტაპის დანაწევრება პროექტირებიდან დაწყებული, პროექტის განხორციელებისა და მისი კონტროლის ჩათვლით ისე, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, ვერ განხორციელდება ძეგლების ჯეროვანი მოვლა-პატრონობა.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ამგვარი დანაწევრებული და ურთიერთ გაწონასწორებული სამართლებრივი რეგულირება უზრუნველყოფს ძეგლებზე სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოების ჯეროვან განხორციელებას. კონკრეტულად, გელათის მაგალითზე გამოვლინდა, რომ სააგენტომ დაამტკიცა ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტი, ამავე სააგენტომ გასცა რეკონსტრუქციის ნებართვა, სააგენტომ დაავალა კონკრეტულ სუბიექტს ამ პროექტის განხორციელება, სააგენტო ახორციელებდა პროექტის მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირებას და გამოსწორებას პროექტის დონეზე, რაც ყოველთვის პროცედურულად არ აისახებოდა თავად პროექტსა და სამუშაოების განხორციელებაზე ნებართვის მიმღები სუბიექტის საქმიან დოკუმენტებში, ხოლო ხარვეზისა და გელათში სახურავიდან წყლის ჩასვლის შემდეგ, სააგენტომვე გადაწყვიტა, ვინ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი ისე, რომ როგორც სახელმწიფოს მხრიდან კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლზე დაშვებული შეცდომისათვის არავითარი პასუხისმგებლობა არც თავად უკისრია და არც სამინისტროს დაუკისრებია მისთვის.

ჩვენი მტკიცებით, სწორედ სააგენტოს პასუხისმგებლობის საკითხია, რომ რადგან საქართველოში დღეისათვის არ აღმოჩნდა სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის სპეციალისტი გელათის რეკონსტრუქციის ურთულესი სამუშაოს ჯეროვნად შესასრულებლად, სააგენტო იყო ვალდებული მოეწვია შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების უცხოელი სპეციალისტი, თუნდაც პროექტის კონსულტანტის ფუნქციით, მით უფრო, რომ დებულების თანახმად, სწორედ მისი ვალდებულებაა ...“მეცნიერულად შეისწავლოს კონკრეტული ძეგლები და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტები. მათი კვლევისა და რეაბილიტაციის საკითხებთან დაკავშირებით შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები და პროექტები“, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, იმავე დებულების თანახმად „საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.“

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სააგენტოს დებულება ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს საქმიანობას და ქმნის ძეგლების მოვლა-პატრონობის სერიოზული ჩავარდნის საფუძველს. ძეგლების მოვლა-პატრონობის მნიშვნელოვანი საქმე, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს კარგად გააზრებული პოლიტიკისა და სათანადო სამართლებრივი რეგულირების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ძეგლზე განსახორციელებელი ყველა ტიპის მოვლა-პატრონობის საქმეს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის, კომპეტენტურობის, ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის პირობებში, ყოველ ეტაპზე, შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოებისა და პირების გამოკვეთის გზით. ვიმედოვნებთ, გელათის შემთხვევა არსებული სისტემური ხარვეზების აღმოფხვრის საფუძველს შექმნის და მომავალში გამორიცხავს მსგავს მაგალითებს“ - ამბობს ლია მუხაშავრია, უფლებადამცველი, იურისტი და ევროსასამართლოს ექსპერტი.

ორგანიზაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზოგადოებას ახსოვს შემთხვევები - ბაგრატის ტაძარზე ჩატარებული სამუშაოები, რომლის შედეგადაც, მან მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის

სტატუსი დაკარგა, მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე მულახის თემის - ჟაბეშის მაცხოვრის, ლატალის თემის მაცხოვრის (მაცხვარიში), მთავარანგელოზის (თარინგზელი), იონა წინასწარმეტყველის (იენაში), ლაჰილის წმ. გიორგის, ლახუშდის მაცხოვრის და ეცერის თემის - ფხუტრერის ტაძრებზე თვითნებურად წარმოებული სამუშაოების შედეგად ავთენტურობის დარღვევა, ყინწვისის მონასტერში მწვანე მარმარილოს დაგება, გელათის ძეგლზე ამჟამად დაფიქსირებული გადაცდომები. არც ერთი მათგანის მიმართ, სახელმწიფოს მისი კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით, ბრალეული პირები არ გამოუკვეთია და მათ სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეხებიათ. შესაძლებელია, თითოეული შემთხვევა თავშივე მიუთითებდეს სახელმწიფოს მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ. გელათის ტაძარზე/ძეგლზე მიღებული გადაწყვეტილებები და მათი სამართლებრივი შეფასება, საკითხზე წარმოებული საჯარო დისკუსია პირველი შემთხვევაა, როდესაც საზოგადოებას აქვს უფრო მკაცრი რეაქცია, ვიდრე ყველა წარსული შემთხვევების დროს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მიღებული გადაწყვეტილებების მეტი გამჭვირვალობა, რათა არ მოხდეს ფაქტების დამახინჯება და პასუხისმგებლობის ტვირთის დაკისრება არსათანადო სუბიექტების მიმართ, სათანადო სუბიექტების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებები, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დარღვევა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე კვლევაც და ორგანიზაციის მიზანიც, რათა დემოკრატიულ საზოგადოებაში გაჩნდეს ალტერნატიული შეფასებები და დასკვნები, რათა სახელმწიფოსთან ერთად შევძლოთ დაშვებული შეცდომების გასწორება და ასეთი შეცდმების სამომავლო პრევენციაც.

5. რეკომენდაციები

1 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართ

- მოხდეს გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე წარმოებული სამუშაოების ჩატარების ყველა პროექტის შესწავლა და შეფასება, დადგინდეს გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისობები და დადგინდეს რეალური გამომწვევი მიზეზები, რომლის შედეგადაც, ტაძარში წყალი ჩავიდა და დააზიანა ფრესკები;

- მოხდეს გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე წარმოებული სამუშაოების ჩატარების პროექტით გათვალისწინებულ ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი საჯარო და კერძო პირების გადაწყვეტილებების მიუკერძოებელი შეფასება და მათი პასუხისმგებლობის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;

- მოხდეს გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით მიღბული ახალი გადაწყვეტილებების ხელმისწავდომობა, პროაქტიულად გამოქვეყნება, საჯარო დისკუსიების ორგანიზება და ხელშეწყობა, ძეგლის გადარჩენის კუთხით საერთაშორისო სპეციალისტების შემჭიდროვებულ ვადებში საქართველოში მოწვევა და ახალი დასკვნების წარმოდგენა.

2 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიმართ

- გაუქმდეს სააგენტოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი #000095, როგორც კანონსაწინააღმდეგო და დისკრიმინაციული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

- სააგენტომ საკითხზე დაიწყოს ახალი ადმინისტრაციული წარმოება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, წარმოება იყოს სრულყოფილი და ყოვლისმომცველი;

3 საქართველოს პარლამენტის მიმართ

- პარლამენტმა უზრუნველოს შესაბამისი საკომიტეტო მოსმენების ჩატარება, გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით ჩართული და დაინტერესებული პირების მოწვევა და მათი შეხედულებების მოსმენა, გაცემულ რეკომენდაციებზე კონტროლი და საზედამხედველო ფუნციის შესრულება პროცესზე.

4 საქართველოს სახალხო დამცველის მიმართ

- საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი, „სასამართლო მეგობრის“ ფუნქციით, ჩაერთოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის პროცესში და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნები აქტის კანონიერებასა და თანასწორუფლებიანობის თაობაზე;

- საქართველოს სახალხო დამცველის მხრიდან შეფასდეს სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებისა და მართლზომიერების საკითხი.

5 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართ

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტარციულ საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე არ განიხილოს ე.წ. გელათის საქმე და არსებითად შეაფასოს მიღებული ადმინისტრაციული აქტის კანონიერება, პირველი ინსტანციის სასამართლოს იურიდიულად დასაბუთების ფარგლები;

6 საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიმართ

- დაჩქარდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოში მიმდინარე გამოძიება და მიღებული შედეგები ცნობილი გახდეს საზოგადოებისთვის, ისევე, როგორც მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გამჭვირვალე და საჯარო გახდეს საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობა და ეტაპები.

7 პროცესის მონაწილე კერძო იურიდიული პირების მიმართ

ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობამ“, შპს „იკორთა 2007“-მა, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“-მა და შპს „ბაგინეთი+“-მა, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ხელმისწავდომი გახადოს მათი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები და გამოქვეყნდეს პროექტის მიმდინარეობის დროს არსებული ხარჯთაღრიცხვა.

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ #171
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ–გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“,
ანგარიშის ნომერი: GE31BG0000000161544925GEL

„ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

2020 წელს, ბავშვთა უფლებების ადვოკატირებისთვის, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის - იუნისეფის კეთილი ნების ელჩმა ნიკა რაჭველმა ორგანიზაცის სპეციალური ჯილდო გადასცა.

2017 წელს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვისა და პროფესიული ერთგულებისთვის, სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

2016-2014 წლებში, ორგანიზაცია წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს.

2016 წელს, მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში.

2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად. 2015-2018 წლებში, წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრს. 2015 წელს დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წელს ჩაერთო „Peace Corps“-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში, 6 თვის მანძილზე, ორგანიზაცია გაძლიერდა სტრატეგიული პროექტების მომზადების, საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის, ადამიანური რესურსის მართვისა და ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე.

2014 წელს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია საქართველოში დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი.

2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრს. 2012 წელს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრს.

2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის” თანადამფუძნებელი და წევრი.

ორგანიზაციის სამოქალაქო პოზიციისა და ჩართულობის მაგალითს წარმოადგენს 2017 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის შესარჩევ კონკურსში ქეთევან ბექაურის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭეიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა, 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველად ლია მუხაშავრიას კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა.

ორგანიზაცია თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. განხორციელებული პროექტებიდან გამორჩეულად მნიშვნელოვანია 2017-2015 წლებში, საქართველოს მთავრობის „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, გამარჯვებული პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მიგრანტების წინაშე არსებული იურიდიული პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება, რეაგირება და გადაჭრა. მიგრანტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზებზე. 2016 წელს, ორგანიზაციას პროექტის მაღალი პასუხისმგებლობით და წარმატებით განხორცილებისთვის, გადაეცა სახელმწიფოს მადლობის სიგელი.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია დასახელებულ პერიოდში სისტემური დანაშაულის საქმეებზე, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2018-2020 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, ხელმძღვანელობს არჩეული ხელმძღვანელი, რომელიც აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატებთან“ პარტნიორობით და მეშვეობით. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები. ასევე, იურიდიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.